45
994/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს თეატრი

№ 1-2-3
1994

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კადრი მარადისობის კუთვნილებაა.

კადრი — სიმბოლო.

დედა შვილს გლოვობს. სახელმწიფოს მეთაური — მამულიშვილს, ეროვნულ გმირს ქიული შარტავას და მასთან ერთად სამშობლოს მთლიანობისათვის დაცემული ყველა ვაჟკაცის დედას თითქოს ამ წუთში ეუბნებოდეს: „...სული შემეხუთა. როგორ გამწარებულხართ, რამდენი დარდი და ცრემლი გიტარებიათ და როგორ არ გაბოროტებულხართ“...

...ო, რა მძიმეა ეს ტვირთი, რა გაუსაძლისი...



# წერილი

ჩემო სათაყვანო ქალბატონებო, დედებო და დებო, შვილებო და შვილიშვილებო, საქართველოს მშვენიერო მანდილოსნებო!

რაღამ უნდა გამაკვირვოს თითქოს და, რაღამ უნდა შემძრას, მაგრამ როდესაც გავიგე თქვენი თავგანწირული და მართლაც ქალური განზრახვის შესახებ — ჩამოხვიდეთ აფხაზეთში და ჩადგეთ მებრძოლ მხარეთა შორის, სული შემეხუთა. როგორ გამწარებულხართ, რამდენი დარდი და ცრემლი გიტარებიათ და როგორ არ გაბოროტებულხართ, როგორი სიყვარულით და სხვისთვის ზრუნვით ხართ ისევ აღსავსე.

თქვენთვის ნამდვილად ღირს სიცოცხლეც და სიკვდილიც.

თქვენ, სილამაზისთვის და თაყვანისცემისთვის გაჩენილნი, მძიმე გზას შეუდექით, საქართველოში სიცოცხლის გადარჩენის მძიმე გზას.

თქვენ უნდა მოგბაძონ მსოფლიოს ქალებმა ყველგან — იქ, სადაც ილვრება სისხლი და იქაც, სადაც უზრუნველი და მშვიდია ცხოვრება.

რადგან თქვენი ადამიანური ნაბიჯი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დედებმა უნდა გადაარჩინონ მხოლოდ საკუთარი შვილები, დებმა — მხოლოდ საკუთარი ძმები, ცოლებმა — მხოლოდ საკუთარი ქმრები.

ეს ყოველივე ბევრად მეტს ნიშნავს — ქალმა უნდა გადაარჩინოს სიცოცხლე, რადგან თავად იგია სიცოცხლის დასაბამი.

გადაარჩინოს არა მარტო საქართველოში, არამედ — მსოფლიოში.

ვისაც ოდნავ მაინც შეუძლია მოვლენათა ანალიზი, ის უნდა მიხვდეს, რომ აფხაზურ-ქართული კონფლიქტი ახლა უფრო მასშტაბურ კონფლიქტში გადაიზარდა, რაც თუ არ ჩაქრა, სულ მალე რუსეთსაც და მსოფლიოსაც გლობალურ კონფლიქტში ჩაითრევს. ეს არის ის, რაც არასდროს არ გათავდება, თუ სიყვარულმა და გონიერებამ არ შეაჩერა.

თქვენ ქალური გუმანით იგრძენით ეს საშიშროება, საქართველოს სხვადასხვა ერის, სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელმა ქალებმა.

დიდი მადლობა ამისთვის.

დიდი მადლობა იმისთვის, რომ მარტო საკუთარ სისხლსა და ხორცზე არ ფიქრობთ, რომ მარტო საკუთარი ტკივილით არ მოქმედებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალებს!





დიდი მადლობა, რომ სხვა მხარესაც უწვდით ხელს, სხვა მხარესაც უთანაგრძნობთ. იქაც შვილმკვდარი დედები დგანან.

დახოცილები დედებმა ერთად უნდა დაიტირონ, ცოცხლები კი ერთად უნდა გადაარჩინონ.

ასეთი დიდსულოვანი და გონივრული ნაბიჯის გადადგმა სწორედაც რომ ვალია „ვეფხისა და მოყმის“ შვილმკვდარი დედის სულიერი მემკვიდრეებისა.

თქვენ ახლაც, როგორც ყოველთვის, სულიერი გაჭირვების ჟამს მამაკაცებზე ძლიერი და სულგრძელი აღმოჩნდით.

თქვენ გინდათ სიყვარულით დაამარცხოთ სიკვდილი, სიძულვილი, ბოროტება... ალბათ ეს ყველაზე სწორი არჩევანია დღევანდელ სიტუაციაში, რადგან დაპირისპირებულთა ამ შეურიგებელ ბრძოლაში მოძალადე თუ გაიმარჯვებს, იგი და მისი შთამომავლობა მაინც მომავალი დამარცხებისთვის იქნება განწირული, რადგან დღეს დამარცხებული, მომავალში ყოველთვის ეცდება რევანშის აღებას.

დიდი უსამართლობაა, რომ ხოცო და ჟლიტო ქართველები იმიტომ, რომ გაყარო ისინი უძველესი მიწიდან, სადაც თუნდაც მატერიალური ძეგლები, თუნდაც მხოლოდ ქართული წარწერები მეტყველებენ იმას, რომ საუკუნეების მანძილზე აფხაზეთი, საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, იყო დიდი კერა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული კულტურისა.

ეს ყველაფერი ისტორიის კუთვნილებაა, რომელსაც ბოროტი და ცრუ მცდელობის მიუხედავად ვერავინ წაშლის. თუმცა დღეს, მეოცე საუკუნის მიწურულს, ეს ყოველივე სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე, რუსი იქნება თუ სომეხი, ბერძენი თუ ესტონელი, დღევანდელი მკვიდრი აფხაზეთისა თუ მთლიანად საქართველოსი, ნაკლები უფლებით უნდა სარგებლობდეს, ვიდრე ქართველი და აფხაზი.

თქვენ წინააღმდეგი ხართ ადამიანების ხოცვა-ჟლეტის, ეთნიკური წმენდის, მზაკვრობისა და სიცრუისა... სხვაგვარად არც შეიძლება...

ქალს სიძულვილის გარემოცვაში არსებობა არ შეუძლია, ქალს არ შეუძლია არსებობა იმ მშვენიერების გარეშე, რომელიც ახლა უწყალოდ ნადგურდება, იმ სიწმინდის გარეშე, რომელიც ახლა ყოველ წამს იბილწება...

რა მშვენიერი ხართ ამ თქვენი თავგანწირული მცდელობით, მშვიდობა მოუტანოთ თქვენს მრავალტანჯულ ქვეყანას — საქართველოს, გადაარჩინოთ დასაღუპად განწირული ადამიანები სიკვდილსა და შეურაცხყოფას...

საოცარი ხართ, და სწორედ ამიტომ მშიერ, სისხლისგან დაცლილ, მაგრამ მაინც ამაყ ჩვენს ქვეყანას ვერავინ დააჩოქებს.

ხმა მიაწვდინეთ რუსეთის დედებსაც, იცოდნენ მათაც, რა ხდება აქ, რომ წინ აღუდგნენ რუსეთის რეაქციონერების ამ მცდელობას, დაიპყრონ და გადააჯიშონ აფხაზეთი.

მშვენიერება თქვენი გამზრახვის მშვენიერს ხდის ყოველ თქვენგანს. ნება მიბოძეთ გეამბოროთ და ნება მიბოძეთ დავუჩოქო ქალს, დედას, რომლის წინაშეც არც ერთ მამაკაცს არა აქვს უფლება ხმლის გაშიშვლებისა.

**თქვენი ედუარდ შევარდნაძე**

**1993 წ. 22 სექტემბერი**



80522

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

## ცხელზე ცხელი სექტემბერი




# ******* იმედი

როცა ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი მკითხველამდე მივა, სექტემბერიც ბარე კარგა ხნის ჩავლილი იქნება და ღმერთის წყალობით, ქვეყანაც, ასე თუ ისე დაშოშმინებულ-დალაგებული, აღარ ემგვანება ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბს (ასე გვგონია, ასე ვლოცულობთ და შეძლებისდაგვარად ვილვწით ამისთვის). მაგრამ დღეს, ვთქვათ 22 სექტემბერს, დიდი ქრისტიანული დღესასწაულის — ღვთისმშობლობის კვირაძალს, როცა დგანდგარებს, ირყევა, იბომბება და იწვის საქართველოს ძირძველი კუთხე აფხაზეთი, როცა ყოველ საათს ტყვია ცივდება ჩვენი ბიჭების გულში, როცა არც ერთ დედას არ სძინავს საქართველოში და საქართველოს ქალთა უსაჩინოესი ნაწილი უკვე დაიძრა, რათა მოწინააღმდეგეთა შუაში ჩადგეს და შვილებისათვის დამიზნებულ ტყვიას მკერდი შეუშვიროს ანუ კოლექტიური თვითმკვლელობა ჩაიდინოს და მსოფლიო შეძრას ამ თვითგანწირვით, შეუძლებელია დუმდე. ჟურნალს, რაგინდ მშვიდობიან და ღვთისნიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს იგი და რა გინდ შორს იყოს პოლიტიკისაგან, ვფიქრობ, დანაშაულად ჩაეთვლება მოკლედ მაინც არ აღნუსხოს ის ჭეშმარიტად გლობალური მოვლენები, რაც ხდება საქართველოში და ქართველი კაცის სულში. მე პირადად ამ გრიგალს ქართული სულის აღზევებას დავარქმევდი, რასაც დიდი ხანია ველოდი და რასაც ალბათ ასეთი დიდი მასშტაბის ეროვნული ტრაგედია თუ აღძრავდა და გამოაღვიძებდა. რას ვიზამთ! ძველ ბერძნულ თეატრონებში ტრაგედია იმიტომ თამაშდებოდა, რომ მას სულიერი განწმენდა-ამაღლება, კათარზისი მოჰყოლოდა.

დღეს გამოქვეყნდა სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის „წერილი საქართველოს ქალებს“— საოცარი, გულის შემძვრელი დოკუმენტი ადამიანური, მე ვიტყოდი, თითქმის ღვთიური სიყვარულისა და მადლიერებისა (ჟურნალში ამ ტექსტს მთლიანად გთავაზობთ). განა გასაოცარი არ არის, როგორ პოულობს ჯოჯოხეთის ცხრავე გარსში ჩახედული და ჯოჯოხეთური ომის ეპიცენტრში მყოფი უძილო, ათასი საზრუნავითა და პრობლემით დახუნძლული, არა ერთხელ ჩვენი უმადურობით გულნატკენი, მარად მოუცლელი კაცი ამდენ ნაზ და მშვენიერ სიტყვას ასეთივე ნაზი და მშვენიერი გრძნობის გადმოსაცემად? რა რთულ ნიუანსებამდე უნდა გრძნობდე ქალის სულიერ სამყაროს, რომ ასეთი სიტყვებით მიმართო მას: „ქალს სიძულვილის გარემოცვაში არსებობა არ შეუძლია. ქალს არ შეუძლია არსებობა იმ მშვენიერების გარეშე, რომელიც ახლა უწყალოდ ნადგურდება, იმ სიწმინდის გარეშე, რომელიც ახლა ყოველ წამს იბილწება.

რა მშვენიერი ხართ ამ თქვენი თავგანწირული მცდელობით მშვიდობა მოუტანოთ თქვენს მრავალტანჯულ ქვეყანას — საქართველოს, გადაარჩინოთ დასაღუპად განწირული ადამიანები სიკვდილსა და შეურაცხყოფას...

საოცარი ხართ და სწორედ ამიტომ მშიერ, სისხლისაგან დაცლილ, მაგრამ მაინც ამაყ ჩვენს ქვეყანას ვერავინ დააჩოქებს.

...მშვენიერება თქვენი განზრახვისა მშვენიერს ხდის ყოველ თქვენგანს. ნება მიბოძეთ გეამბოროთ და ნება მიბოძეთ დავუჩოქო ქალს, დედას, რომლის წინაშეც არც ერთ მამაკაცს არა აქვს უფლება ხმლის გაშიშვლებისა“.

და აქვე ერთი უნებლიე, მძიმე მოგონება ჩვენი არც თუ შორეული წარსულიდან: სიძულვილით დამახინჯებული აპოკალიფსური სახეები ქალებისა, რომლებიც ველური ყიჟინით მიიწევდნენ, რათა მათთვის არასასურველი აზრის მქონე მამაკაცებისათვის ტანსაცმელი შემოეხიათ, ფიზიკური შეურაცხყოფა მიეყენებინათ. ცხოვრება სავსეა ასეთი კონტრასტებით, სიკეთისა და ბოროტების, ბნელისა და ნათელის, სატანურისა და ღვთაებრივის მონაცვლეობით და ადამიანი ყოველთვის დგას ზნეობრივი არჩევანის წინაშე. მხოლოდ და მხოლოდ ამ არჩევანით წარდგება ყოველი ჩვენგანი უფლის წინაშე. ო, რა მძიმეა და რა მშვენიერი პასუხისმგებლობის ტვირთი და რა ნეტარი ადამიანი, ვინც სწორ არჩევანს გააკეთებს!

გუშინ ღვთისმშობლობა იყო.

გუშინ ღვთისმშობლის წილხვედრილ საქართველოს ძალიან უჭირდა (მერამდენიმეჯერ გვცდიდა დამბადებელი!)



# გათენებისა ✻✻✻✻✻✻✻

მარტო გუშინდელი დღე შესძრავდა ჩვენს პატარა პლანეტას გაშიშვლებულ ვნებათა სიმძაფრით.

გუშინ გამოქვეყნდა ედუარდ შევარდნაძის ტრაგიკული „მიმართვა სამშობლოს ყველა მეომარს!“, რომელიც მთავრდებოდა სულისშემძვრელი სიმართლით:

...„როცა „ცივი ომის“ დამთავრებას ვესწრაფოდი, ძირს ვურყევდი გათიშვისა და გაუცხოების კედლებს, მე ვიბრძოდი ყველა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აზრადაც არ მქონია, რომ კაცობრიობის არსებობისათვის მთავარი საფრთხის თავიდან აცილების შემდეგ სწორედ ჩემს სამშობლოს დაუდგებოდა შავბნელი განთიადი.

იქნებ ვინმემ თქვას, რომ ეს სასოწარკვეთის ამოძახილია, არა! თუ ეს მაინც ამოძახილია, ეს არის სულის, ჩემი და ჩემი ხალხის ამოძახილი. და მინდა, რომ ეს ყველამ გაიგონოს, რადგან კაცობრიობა ბედნიერი ვერ იქნება, მშვიდად ვერ ისარგებლებს მშვიდობის სიკეთით, სანამ დაღუპვის საფრთხე ელის თუნდაც ერთს, დაე ყველაზე მცირერიცხოვან ხალხს.

ამას ვწერ ღამის 3 საათზე. ქალაქს თავს ატყდება ჭურვები, დანგრეულია 1500 საცხოვრებელი სახლი. არ არის წყალი, პური, შუქი, და იფერფლება იმედი — სროლა გრძელდება. ეს-ეს არის რამდენიმე ჭურვი დაეცა სამშობიარო სახლს, სადაც ძუძუმწოვარა ბავშვები და მათი დედები იყვნენ.

არ გემშვიდობებით, გამომშვიდობება არ მინდა, დაე, ღმერთმა არ მოგაკლოთ მშვიდობა და ბედნიერება.

**ედუარდ შევარდნაძე**

**სოხუმი. 1993 წლის 18 სექტემბერი.**

გუშინ რესპუბლიკის გაზეთები სავსე იყო ასეთი წერილებით:

„ტამიშთან გზა გადაკეტილია“, „სისხლისმღვრელი ბრძოლები ახალდაბასთან,“ „შვილებთან ერთად დავიხოცებით“... „სამი დღის მანძილზე აფხაზეთში დაიღუპა 47 და დაიჭრა 450 კაცი“. „ნუ გავხდებით მესაფლავენი ჩვენი ერის თავისუფლებისა და გადარჩენის იდეისა“, „მიმართვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებსა და მთავრობებს“, „დაიჭრა 13 რუსი სამხედრო მოსამსახურე,“ „გაჩნდა სოხუმისა და ოჩამჩირის გადარჩენის გარანტიები“, „რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ხელები დაიბანა“, „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს“, „პაველ გრაჩოვი აფხაზეთიდან ქართველთა ფორმირებების გამოყვანას უჭერს მხარს“, „უშიშროების საბჭო შეშფოთებას გამოთქვამს“..

ასე მშფოთვარედ ფეთქავს საქართველოს მაჯა.

ასეთი დიდი ღამე იდგა ჩემს სამშობლოში.

და მაინც, რა ვქნა, გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ. ასე მგონია შავად მოჯარული ღრუბლების მიღმა მაინც ანგელოზს დაინახავდა „მოდარაჯე კაცის თვალი“. მაინც ჭიატობდა იმედი გათენებისა, გამოდარებისა, ღვთის წყალობისა — უგუნურებათა ჩვენთა კიდევ ერთხელ პატიებისა.

აკი ამ იმედით მიდიოდა მშვენიერ ქართველ ქალთა თავგანწირული სამშვიდობო ლაშქარი ცეცხლმოდებული სოხუმისაკენ.

აკი ჩვენ მებრძოლებს ეიმედებოდათ, რომ „ბაბუ“ არავითარ შემთხვევაში არ მიატოვებდა ცეცხლმოდებულ ქალაქს, ფრონტის ხაზს, სადმე კარგად დაცულ, უსაფრთხო ბუნკერში არ ჩათბებოდა და იქედან არ ისროდა მოწოდებას: გავწყდეთ და სამშობლო დავიცვათო.

ალბათ ვაჟკაცობის თავის საკუთარი ადლით ზომავდა სხვათა კაცობას არძინბა, როცა „სულგრძელად“ სთავაზობდა შევარდნაძეს: უხიფათო დერეფანს გაგიკეთებ და არაფერი დაგიშავდება, თუ ჩემგან მითითებულ დროში სოხუმს დატოვებო.

აკი ფეხზე დგებოდა მთელი საქართველო.

არა და არა.

არ იყო ძალა ჩვენი სიმართლის დამმარცხებელი.

სიბნელეში ჭიატობდა, ფეხზე დგებოდა იმედი გათენებისა.

**ნარგიზა მგელაძე**
**22 სექტემბერი, 1993 წელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედათა ქვეყანა

საქართველო დედათა ქვეყანაა... ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ქართველები ნანას — ოჯახის მფარველ ქალღმერთს ეთაყვანებოდნენ. სხვა ღვთაებებიც ჰყავდათ ჩვენს წინაპრებს, მაგრამ განსაკუთრებულ სიყვარულს ნანას მიმართ გამოხატავდნენ.

დედათა ქვეყანაა საქართველო...

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ მოციქულებთან ერთად ღვთისმშობელმაც იყარა კენჭი და საქართველო სწორედ მას ერგო გასაქრისტიანებლად. შემდგომში წმინდა ნინომ ვაზის ჯვრით „მონათლა“ ღვთისმშობლის წილხვდომილი... პირველი ქრისტიანი ქართველიც ქალი იყო — დედოფალი ნანა, პირველი ქართული ორიგინალური წიგნიც ქალზე დაიწერა „წამებაი შუშანიკისი“, საქართველო ყველაზე გაბრწყინებული „შვიდგზის მნათობი“ მეფეთ-მეფე თამარის დროს იყო, ქართული პოეზიის გვირგვინიც „შვიდგზის მნათობს“ მიუძღვნა მგოსანთმგოსანმა... თუ თვალს გადავავლებთ სარწმუნოებისთვის წამებულთ, უპირველესად დავინახავთ ხორცებდაგლეჯილ, აალებულ დედა-დედოფალ წმინდა ქეთევანს...



ისტორიული პიროვნებების გვერდით ჩაუქრობელ შუქურასავით ბრწყინავს ქართველი ხალხის წიაღში შექმნილი პოეტური სახე ვეფხვთან მეომარი მოყმის დედისა, რომელსაც ჰუმანურობის თვალსაზრისით პრეცედენტი არ მოეძებნება მსოფლიო ლიტერატურაში. სად, რომელ პოეზიაში ნახავთ დედას, რომელიც თავისი შვილის მკვლელის დედასთან მიდის სამძიმრის სათქმელად: მოყმის დედა ჭეშმარიტი ქართველი დედის თვისებებს ატარებს. საკუთარი ტკივილი სხვის ტკივილს ვერ ავიწყებინებს. „იქნება ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა“...

ბოლო ხანებში ბევრი თავზარდამცემი უბედურება დატრიალდა ქართულ მიწაზე ძმათა თუ მომხვდურთა მტრობით; გაოგნებული დავდივარ და ღმერთს შევტირი ჩვენს უიღბლობას... გაოგნებული დავდივარ, მაგრამ მომაგონდება თუ არა „ვეფხისა და მოყმის ბალადა“, სულით ვმაღლდები და მიხარია, რომ საქართველოში დავიბადე, რომ ქართველ ქალად დავიბადე...

ქართველ ქალებს დროშაც და ხმალიც ღირსეულად უტარებიათ. გავიხსენოთ სანათა, ან ცხრა ძმა ხერხეულიძის დედა, მაია წყნეთელი. და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ღირსეული ქალის ხსოვნა ანთია ჩვენი ერის ისტორიაში...

დედათა სიბრძნემ, დედათა თავდადებამ მოიყვანა დღემდე ქართველი და დღეის შემდეგაც ღვთისმშობლის კალთას შეფარებული ტანჯული ერი დედის ლოცვით, დედის გონით გაიკვლევს გზას მომავლისაკენ...

...გადაიყრის შავ ღრუბლებს დედათა ქვეყანა, ვაზის ჯვრით გარდასახავს პირჯვარს წმინდა ნინო „თავის ნათლულს“, „შვიდგზის მნათობი“ ოქროს ქოშებს დაიხდის, ფეხშიშველი წავა აფხაზეთში და გაშლიან თამარის დროშას, რომელიც არასოდეს დახრილა.

...მერე კი, მოყმის დედა გაეშურება ვეფხის დედასთან სამძიმრის სათქმელად...

დედათა ქვეყანაა საქართველო!

**ნანა დავითაშვილი**

## ჩვენი სტუმარი

# ბირგიტ ფუნქე



სექტემბრის შუა რიცხვებში თბილისში ჩამოვიდა იუნისეფის წარმომადგენელი ქალბატონი ბირგიტ ფუნქე. იუნისეფი (შვეიცარია, ჟენევა) გაეროს ბავშვთა ფონდია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა. მისი ძირითადი ფუნქცია ომისაგან დაზარალებული ბავშვების დახმარება იყო. ამ ფუნქციის შესრულების შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციას მუშაობა არ შეუწყვეტია. ამჯერად აქცენტი კეთდება განვითარებადი ქვეყნების ბავშვებზე.

სამწუხაროდ, ცხოვრება ისე მიდის, გაჭირვება ხან რომელ ქვეყანას დაატყდება თავს და ხან — რომელს.

იუნისეფიც თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ეხმარება ნებისმიერი ქვეყნის ბავშვებს ჯანმრთელობის, კვების, განათლების პრობლემების გადაჭრაში.

ქ-ნი ბირგიტ ფუნქე ჩვენს რედაქციას და რესპუბლიკის ქალთა საბჭოს ესტუმრა. მისი მიზანია კარგად შეისწავლოს საქართველოს ბავშვთა მდგომარეობა, რათა განისაზღვროს დახმარების ოდენობა.

— საქართველოს მთავრობამ ჩვენს ორგანიზაციას მიმართა დახმარების თხოვნით, — თქვა ჩვენთან საუბარში ქ-ნმა ბირგიტმა. წინასწარ განზრახულია 22 მილიონი დოლარის საერთო დახმარების გაწევა თქვენი რესპუბლიკისათვის. ჩვენ დახმარებისათვის სხვებსაც მივმართეთ და ვფიქრობთ, მოვახერხებთ დაგეხმაროთ. აქედან გარკვეული თანხა მიზნობრივად მოხმარდება ბავშვებს და ქალებს, ობოლ და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს, მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს.

ქ-ნი ბირგიტი უახლოეს დროში კვლავ აპირებს თბილისში ჩამოსვლას.

# ორი კატასტროფა და ექვსი ცოდვა,

## რომელიც დანგრევით ემუქრება ოჯახს

ყოველწლიურად, ყოველდღიურად ათასობით წყვილი ბედნიერებისაგან ათრთოლებული და ხელიხელჩაკიდებული მიემართება ეკლესიაში, ქორწინებისა თუ რიტუალების სასახლეში, რათა ღვთის, საზოგადოებისა და კანონის წინაშე განაცხადონ თანხმობა უკვე განცდილ, ნაფიქრალ და გადაწყვეტილ კითხვაზე — „გსურთ გახდეთ მეუღლე?“

რა თქმა უნდა, იმ უბედნიერეს წუთებში არავის მოსდის აზრად, რომ მათ ცხოვრებაში სიხარულთან ერთად იქნება წყენაც, რომ ალტაცებას დროდადრო განხიბლვა შეცვლის და სიყვარულს, ზოგჯერ სიძულვილიც კი. რომ ქორწინების მერე არსებობს განქორწინებაც.

ახლა კი, როცა მათ თაფლობის უმშვენიერესი თვე ელოდებათ და მათ გულში მხოლოდ სიყვარულსა და ბედნიერებას დაუსადგურებია, ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო პირველი ჭირვეული კითხვისა: „ვიქნები კი ამ კაცთან (ქალთან) ბედნიერი?“ ახალგაზრდები ხომ ძალიან იშვიათად უსვამენ საკუთარ თავს მეორე კითხვას: „შევძლებ კი გავაბედნიერო?“ რადგან, როგორც წესი, ისინი გაცილებით მეტს ელიან ქორწინებისაგან. ამ ანგარიშით, ხანდახან (გაუცნობიერებლად) თვით ქორწინების პირველივე ღამე იქცევა ხოლმე განქორწინებისაკენ გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად. ერთ მწერლის გამონათქვამისა არ იყოს, „როცა ქალი ნებდება, ფიქრობს, რომ მამაკაცს აჩუქა მთელი სამყარო, კაცს კი ჰგონია, რომ სათამაშო მიიღო. ქალს ეჩვენება, რომ მისცა მარადისობა, კაცი დარწმუნებულია, რომ მიიღო წუთი“, რადგან იშვიათია, რომ მათი განცდები და წარმოდგენები ერთმანეთს ემთხვეოდეს, მათ, როგორც წესი, საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ქალის თუ მამაკაცის ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებზე. და მაინც, მიუხედავად ამისა, „თაფლობის თვედ“ წოდებული დრო ის ხანაა, როცა ოჯახური დღესასწაულები ჯერ არ ჩათავებულა და სიყვარულიცა და ურთიერთლტოლვაც ჯერ კიდევ მძლავრობს სხვა დანარჩენ გრძნობაზე. ხოლო როცა ეს დრო ჩაივლის, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, „იწყება სერიოზული გამოცდის ხანა“, რაც ოჯახის ფორმირებას ახლავს თან. ეს ის პერიოდია, როცა რომანტიკული ბურუსიდან გამოსულებს ცხოვრების რეალობასთან უხდებათ შეჯახება. ბევრ მათგანს ამ დროს გზა ებნევა ოჯახური ურთიერთობის ლაბირინთებში, ხშირად თავს იჩენს ზოგიერთის თანდაყოლილი სულიერი სიზარმაცეც, როცა ამგვარ ადამიანებს არცა აქვთ სურვილი ურთიერთგაგებისა, მეუღლის პრობლემებში გარკვევისა და ამგვარად ოჯახის გადარჩენისა. მაგრამ ხდება ისეც, რომ ოჯახის მთლიანობა მსხვერპლად ეწირება ელემენტარულ საკითხებში გაუთვითცნობიერებას; თუმცა ძალიან რთულია ოჯახის დამანგრეველი მიზეზების პოვნა და შემდგომ მათი მისადაგება რომელიმე კონკრეტული შემთხვევისადმი, რადგან, როგორც ამბობენ, „ყოველ ოჯახში საკუთარი ქოთანი დუღს“. ფსიქოლოგები მაინც შეეცადნენ დახმარებოდნენ ახალგაზრდებს და შეძლებისდაგვარად ეპასუხათ იმ წყევლა-კრულვიან კითხვებზე, რაც ესოდენ აწუხებთ მათ დღეს (და წარსულშიც). „ერთად ცხოვრების დროს ქალი ან მამაკაცი რას სჩადის ისეთს, რაც სიყვარულს სიძულვილად აქცევს, ხოლო ოჯახს — არარაობად?“ ან „ოჯახის დამანგრეველ ცოდვათაგან რომელია განსაკუთრებით საყურადღებო?“ და კიდევ, „როგორ ავიცილოთ თავიდან ის, რისი აცილებაც შესაძლებელია?“

სხვა ფსიქოლოგებთან ერთად ცნობილი მკვლევარი შპროიც შეეცადა პასუხი გაეცა ამ კითხვებისათვის. მან ოჯახის „მკვლელ“ ცოდვათაგან გამოჰყო ის უმთავრესი, რომელსაც ერთნაირად ხშირად „სჩადიან“ მეუღლეები განურჩევლად ეროვნებისა, ასაკისა თუ ცოლ-ქმრული ურთიერთობის სტაჟისა. მისი აზრით ცოლ-ქმრული ცხოვრების გზაზე არსებობს 2 კატასტროფა და ექვსი „მომაკვდინებელი ცოდვა“, რომელთაც ოჯახური ბედნიერება დაჰყავს უაზრობამდე (ნონსენსამდე) და შესაბამისად ოჯახი — დანგრევამდე.

კატასტროფად მიიჩნევა ის ფაქტი, როცა ცოლქმართაგან ერთ-ერთი ავადმყოფურ მიდრეკილებას იჩენს ნარკოტიკისა და ალკოჰოლისადმი. ასევე კატასტროფის რანგშია აყვანილი „თავს დატეხილი“ სიყვარული (და არა გატაცება), რომელიც მოულოდნელად ეწვევა ხოლმე ერთ-ერთს და როგორც წესი, მას ვერაფერს უხერხებს.

ყველა სხვა შემთხვევაში ოჯახურ ბედნიერებას უსაფრდება ის ექვსი „მომაკვდინებელი ცოდვა,“ რომელიც არანაკლები ვერაგობით ყოველდღიურად, ყოველწამს ამძიმებს ყოფას, იწვევს ცოლ-ქმრის გაუცხოებას და აჩქარებს ოჯახურ კატასტროფას.

ამათგან შპროი პირველ რიგში განიხილავს ე. წ. „გაუმართლებელ იმედს“, როცა შენი პარტნიორისაგან ელოდები გაცილებით მეტს, ვიდრე მას შეუძლია მოგცეს, როცა შენი ბედნიერების პასუხისმგებლად ხდი პიროვნებას (ხშირად თანატოლს), რომელიც ასევე ელის შენგან თანადგომას. პრეტენზიაში — „ახლა მე გათხოვილი ქალი ვარ და ის ვალდებულია გამაბედნიეროს“, — ეტყობა თავს იჩენს გოგონების მამასთან ურთიერთობის მოდუსი, რაც პრობლემას კიდევ უფრო ამძიმებს...

მეორე ასევე „მომაკვდინებელ“ ცოდვად მიიჩნევა მეუღლეების „სექსუალური კულტურის უქონლობა“, რომელიც ხშირად გამხდარა „მრავალი სიყვარულის მკვლელი, მრავალი ოჯახის დამანგრეველი“, როცა მამაკაცი ქალისაგან მოითხოვს იმას, რაც ქალს ან არ სურს, ან არ შეუძლია, ხოლო ქალი კი მიისწრაფვის იმისკენ, რისთვისაც მისი პარტნიორი მზად არ არის. ამის გამო ბევრი მათგანისათვის ყოველი ღამე გადის „შიშსა და სიყალბეში“, ხოლო შემდეგ დღისათვის მორალურად და ფიზიკურად დაუკმაყოფილებელნი, გაღიზიანებულნი და ერთგვარად შეურაცხყოფილნიც კი „სჯიან“ ერთმანეთს (დასჯის მეთოდები ინდივიდუალურია).

მესამე ცოდვად, ფსიქოლოგი მიიჩნევს „პარტნიორის მიღწევებით გამოწვეულ შურს“ და ამაში უფრო ხშირად ის ცოლები სცოდავენ, რომელთა ქმრებმა ბრწყინვალე კარიერა გაიკეთეს, თავად კი „უბრალო დიასახლისებად“ დარჩნენ. ამ დროს ჩნდება ეჭვი, ყველას და ყველაფრის მიმართ. ქალს სტანჯავს უსუსურობა და ეჭვის განცდა, ფიქრი იმაზე, რომ მას მალე შეცვლის უფრო ლამაზი, ახალგაზრდა, ჭკვიანი და ემანსიპირებული მეტოქე. ქალი იბრძვის და ბუნებრივია, რომ ამ ბრძოლაში ოჯახური ცხოვრება თანდათან ჯოჯოხეთს ემსგავსება. ფსიქოლოგის აზრით ასევე გასათვალისწინებელი შეცდომაა ის არასერიოზული და გულგრილი დამოკიდებულება პარტნიორის პრობლემებისადმი, რომელიც ერთგვარ „საყრდენს“ აცლის ოჯახურ იდილიას, როგორც უკანასკნელ „ნავსაყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელს ამ უსახურ და სტანდარტულ მსოფლიოში“, რადგან „ცოლი, რომლისთვისაც უცხოა ქმრის ინტერესები, არ თანაუგრძნობს და არ აკეთებს ამისათვის არაფერს — საყვარელია, დიასახლისია, ძიძაა და რაც გნებავთ, ოღონდაც არა ცოლი. იგივე ითქმის ალბათ ქმრის მიმართაც.

თითქმის ამავე რანგისაა რიგით მეხუთე შეცდომაც. როცა პარტნიორი შეუწყნარებელ გულმავიწყობას იჩენს მეორის მიმართ, ამით ის თითქოს აბუჩადაც კი იგდებს მას, რადგან აგრძნობინებს, რომ ის უკვე ბევრს აღარ ნიშნავს მისთვის. ამ შეცდომას უფრო ხშირად და მტკივნეულად ქალები განიცდიან, როცა ქმრებს ავიწყდებათ მათი დაბადების დღე, ქორწინების წლისთავი და სხვა მნიშვნელოვანი თარიღები (უსიამოვნების მიზეზი ხშირად სიდედრის დაბადების დღის დავიწყებაც გამხდარა). ეს ტკივილი ბუნებრივიცაა. ქმარი ხომ აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევა, რომელსაც ცოლი ავტომატურად ეთიშება ამ დროს. და რა საკვირველია, რომ სახლში დარჩენილი და ქმრის მომლოდინე დიასახლისისათვის მცირედი ყურადღების გამოჩენაც კი დიდ ფაქტად აღიქმება ხოლმე (ჯერ კიდევ ვახსოვარ და ვჭირდები). რაც შეეხებათ ცოლებს, მათი მხრიდან მსგავსი გულმავიწყობის გამომჟღავნება სავსებით შეუთავსებელია მეუღლის მცნებასთან და როგორც წესი ქმრები ამას არც პატიობენ.



და ბოლოს, კიდევ ერთი „ცოდვა“, როცა მეუღლეთაგან ერთ-ერთი ნებსით თუ უნებლიეთ აგრძნობინებს პარტნიორს, რომ ის ძველებურად აღარ იზიდავს მას. ფსიქოლოგები აღნიშნავენ — „თუ გსურთ მეუღლემ შეგიძულოთ, საკმარისია გაუმხილოთ, რომ მავანი ქალი (კაცი) ბევრად უფრო მიმზიდველი, ჭკვიანი და სექსუალური გეჩვენებათ“. ხშირად, სწორედ ამგვარ შედარებას მიჰყავს მეუღლე სხვის ლოგინამდე, ოჯახური ბედნიერება კი ღალატით წაბილწვამდე.

აი, მრავალთაგან მხოლოდ ექვსი და ამდენად მოკლე ჩამონათვალი იმ ცოდვებისა და შეცდომებისა, რომელთაც ნელ-ნელა მივყავართ დიდ კონფლიქტამდე, რადგან ისინი წვეთ-წვეთად კლავენ სიყვარულს, აქრობენ კერას და თუ მოხდა ისე, რომ კერა ერთბაშად მაინც არ ჩაქრა, სულ ერთია, მისი მხრჩოლავი ბოლი არა მარტო ცოლ-ქმარს, მომავალ თაობასაც ცრემლით აუწვავს თვალებს.

**მანანა კეიდია,**
გენეტიკოსი.

# წმინდა მარტინის ელოდებიან ქართველ

**თბილისის ახალ რაიონში, დიდ დიღომში, სამი წელია მოქმედებს კულტურის სამინისტროს ხელოვნების კოლეჯი, რომელსაც ხელმძღვანელობს თავისი საქმის ენთუზიასტი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ქალბატონი ციცო ჯაფარიძე.**

**კოლეჯის საქმიანობის გაცნობამ აღმიძრა სურვილი სხვასაც გაეგო, რით განსხვავდება იგი ხელოვნების სხვა სასწავლებლებისაგან, როგორ გაჩნდა კოლეჯის შექმნის იდეა, რა დანიშნულება აქვს მას?**

**ამ კითხვებზე გვიპასუხებს მისი დირექტორი ქ-ნი ციცო.**

— კოლეჯის შექმნის იდეა ჩემია. ზოგმა არ მიიღო იგი, ზოგმა მხარი დამიჭირა. მოგეხსენებათ, ყოველივე სიახლეს დარგის ხელმძღვანელები რა ძნელად ეგუებოდნენ. ერთ-ერთმა მაშინდელმა პარტიულმა ფუნქციონერმა, ვერაფრით რომ ვერ დამითანხმა ვყოფილიყავი მუსიკალური სკოლის დირექტორი (ამ შენობაში თავიდან ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის მე-13 სამუსიკო სკოლა იყო და ახლაც არის), გაბრაზებით მითხრა: ქალო, შენც მოისვენე და ჩვენც მოგვასვენეო.

დიდი დახმარება გამიწია ბატონმა კოტე გაბაშვილმა შემეცვალა სწავლების დამყაყებული მეთოდი. ბოლოს და ბოლოს, რაღაც ხომ უნდა შეიცვალოს, დაგროვდა პრობლემები — გაჩნდა სიახლე. არ გვყოფნის სასწავლო სახელმძღვანელოები, რაცა გვაქვს, ისიც ძირფესვიანად შესაცვლელია. მოძველებულია სწავლების პრინციპი. გამოკითხულ მოსწავლეთა უმეტესობა უკმაყოფილოა სწავლების ძველი მეთოდით. რაც მე კარდაკარ მიწანწალია, ენა ვერ იტყვის, რომ ამეკრიფა ჩემთვის გამოსადეგი და მისაღები. არც ერთ საკითხს ერთპიროვნულად არ ვწყვეტ. ვეთათბირები ჩემს პედაგოგებს. ყველანი ძალიან კარგი პროფესიონალები არიან. მოსწავლეებიცა და პედაგოგებიც შესარჩევ კონკურსს გადიან, შემთხვევითი პიროვნებისთვის ჩვენი კოლეჯის კარი დაკეტილია.

# კოლეჯში ბავშვებს



ციცო ჯაფარიძე

სწავლება მრავალპროფილიანია: გვაქვს მუსიკის, თეატრალური, საესტრადო, სახვითი, ქორეოგრაფიული განყოფილებები, რასაკვირველია, საშუალო სკოლაც. კოლეჯის ბაზაა მე-13 სამუსიკო სკოლა. სწავლება უფასოა. გვყვანან სხვადასხვა უცხო ენების სპეციალისტები. მე-6 კლასიდან მეორე უცხო ენა შეისწავლება. ვასწავლით რელიგიის ისტორიას, ღვთისმეტყველებას.

დიდ დახმარებას გვიწევს ბატონი ავთანდილ ჩალაძე (ჩვენი სპონსორია).

ჯგუფში თხუთმეტ მოსწავლეზე მეტი არ უნდა იყოს, მაგრამ გამონაკლისი მაინცაა. ქალაქის ყველა კუთხიდან მოდიან მოსწავლეები, რაიონებიდანაც ჩამოდიან. მსურველი უამრავია. მათმა რიცხვმა წლეულს 1000-ს გადააჭარბა. აქვე 120 სტუდენტისათვის გავხსენით უმაღლესი კოლეჯი. წილად მხვდა პატივი ვიყო მისი რექტორიც. ჩვენი კოლეჯდამთავრებულები საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატსაც იღებენ და კულტურის სამინისტროს დიპლომსაც. სწავლება თერთმეტწლიანია. ჩვენს პედაგოგებს ანაზღაურება გაცილებით მაღალი აქვთ, რაც მოსწავლეთა რაოდენობაზეცაა დამოკიდებული. ვუშვებთ გაზეთს „ნიკე".

სასწავლო წლის ბოლოს დიდი გამოცოცხლებაა, სათითაოდ ვმსჯელობთ, თითოეული პედაგოგის გაწეულ საქმიანობაზე, საგულდაგულოდ ვამოწმებთ ყოველი ბავშვის ცოდნას, ვატარებთ კოლეჯის დღეებს. უნარისა და მონაცემების მიხედვით ვახდენთ მესამეკლასელთა კლასიფიკაციას.

ჩვენ ჩვენი დამოკიდებულება გვაქვს პოლიტიკისადმი. სკოლაში საუბარიც კი არა გვაქვს ამ თემაზე. რადგან ხელოვნება შორსაა პოლიტიკისაგან. დარწმუნებული ვარ, იქ ლაყბობენ პოლიტიკაზე, სადაც თავისი უშუალო საქმის კეთება არ უნდათ, ან არ შეუძლიათ.

**— საუბარში ინგლისში მივლინება ახსენეთ, რა მიზნით ბრძანდებოდით იქ?**

— შარშან ორი კვირით გახლდით ლონდონში. ჩემი მასპინძელი იყო წმინდა მარტინის ხელოვნების კოლეჯი. რაც იქ ვნახე, ალბათ სიტყვით ვერ აღვწერ. აი, ვისგან უნდა ისწავლო, თუ როგორ აღზარდო მომავალი ხელოვანი, მისცე საჭირო ცოდნა, გაუფაქიზო სული და გემოვნება, როგორ მოექცე არა მარტო აღსაზრდელს, არამედ აღმზრდელსაც, როგორ დააფასო მისი შრომა, ცხადია, არამარტო სიტყვით...

ვეცდები ჩვენი მწირი შესაძლებლობების ფარგლებში ზოგი რამ ინგლისელთა გამოცდილებიდან ჩვენს კოლეჯშიც დავნერგო.

მიღწევად მიმაჩნია, რომ მათთან ხელშეკრულება გავაფორმეთ. წმინდა მარტინის ხელოვნების კოლეჯი რამდენიმე წლით უმასპინძლებს ჩვენს საუკეთესო მოსწავლეებს.

ვცდილობთ გავაფართოოთ ჩვენი საქმიანობა — 123-ე საშუალო სკოლაში გავხსენით ფილიალი (დირექტორი კარლო ბარდაველიძე). ახალი სასწავლო წლიდან უმაღლეს კოლეჯში გაიხსნება ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. რადგან დღითიდღე მატულობს ჩვენი კონტინგენტი, ალბათ, დაგვაკლდება ი ნ ს ტ რ უ მ ე ნ ტ ე ბ ი. გვსურს გავხსნათ ფილიალი მცხეთაში, რისთვისაც ყველაფერს აკეთებს მცხეთის გამგებელი ბატონი გელა მიჭელაშვილი, მცხეთელ ბავშვებს საუკეთესო შენობაში ექნებათ ანალოგიური კოლეჯი.

შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ ბევრ ჩანაფიქრზე დროებით გვათქმევინა უარი, მაგრამ მაინც ოპტიმისტურად ვუყურებთ საქართველოს მომავალს. სხვაგვარად ხომ ჩვენს შრომას აზრი დაეკარგებოდა?!

**ნანული ბუკია**



მამა აბრამმა აკურთხა კოლეჯი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არის ასეთი სკოლა!

ასე ვუწოდებთ სკოლას, რომელიც ბევრი რამით განსხვავდება ჩვეულებრივი სკოლებისაგან.

იქ ვერ გაიგონებთ ხმამაღალ სიტყვას. პედაგოგები, როგორც საკუთარ შვილებს, ისე დასტრიალებენ თავიანთ აღსაზრდელებს. ამ სკოლაში მეტყველების დეფექტიან ბავშვებს ზრდიან, ასწავლიან და, რაც მთავარია, ათავისუფლებენ ფიზიკური ნაკლის შედეგად დაბრუნებული კომპლექსებისაგან.

ამ ბოლო დროს ფიზიკურმა, მათ შორის, სამეტყველო ანომალიებმა იმრავლა. თუმცა სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით ეს არ იგრძნობა.

სკოლაში 150-მდე ბავშვი სწავლობს, როგორც ჩანს, ეს ქართული ამპარტავნობის კიდევ ერთი გამოვლინებაა. მშობელი სავალალო შედეგსაც არ ეპუება და ყველანაირად ცდილობს შვილი „სამარცხვინო“ სკოლას აარიდოს.



პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის სრული ურთიერთგაგებაა.



დღეს უხერხულიც კია პრობლემებზე საუბარი, — თქვა სამეტყველო სკოლის დირექტორმა ნინო ზაქარეიშვილმა, — მაგრამ რადგან ჩვენი მთავარი გასაჭირი ფული არ არის, ამდენად თავს უფლებას ვაძლევ ცოტა დავიწუწუნო. ჩვენს სკოლაში ბავშვები განათლების სამინისტროს სამმართველოსთან არსებული კომისიის საგზურით მოდიან. ჩვენც სკოლებში ვამოწმებთ ბავშვებს, თუ საჭიროდ მივიჩნევთ, ვურჩევთ მშობლებს, სანამ დროა, შვილები ჩვენთან მოიყვანონ, მაგრამ ბევრს ამის გაგონებაც არ უნდა. თუმცა დადებით შედეგს რომ ხედავენ, მაშინ კი არიან კმაყოფილები. მხოლოდ მშობლებიც არ არიან დამნაშავეები... როგორ შეიძლება მასწავლებელმა ოთხი-ხუთი წელი გულგრილად უყუროს ბავშვს, რომელსაც მეტყველება საგრძნობლად აქვს დაქვეითებული. ბავშვი გარიყულია ამხანაგებისაგან, ვერ სწავლობს, დაკომპლექსებულია, რადგან მას დასცინიან, ამცირებენ. გაბოროტებული ბავშვი დანაშაულსაც ადვილად ჩაიდენს. მშობლების გასაგონად მინდა ვთქვა; ნუ დალუპავთ თქვენს შვილებს; ბავშვების უმეტესობა ჩვენთან საბოლოოდ განიკურნება. თქვენი ამპარტავნობით შვილს მომავალს ნუ დაუკარგავთ!

— ჩვენთან ბავშვი სულიერ თავშესაფარსაც ნახულობს. ზოგიერთი ბავშვი გაკვეთილების შემდეგაც არ მიდის სახლში, მასწავლებელს ელოდება, — საუბარში ერთვება სასწავლო ნაწილის გამგე მარლენ ბერიძე, — ბავშვები დაუფარავად უმხელენ მასწავლებლებს გულისნადებს, რადგან იციან, რომ მის დარდსა თუ სიხარულს გულწრფელად გაიზიარებენ. ზრდილობიანი და მოკრძალებულნი არიან, უყვართ შრომა. ჩვენ ხელს ვუწყობთ, რაიმე ხელობას დაეუფლონ, თუ ბავშვი ვერ დაიზუთხავს ფორმულას, ეს დიდი უბედურება არ არის. მთავარია, ისწავლოს ის, რაც აინტერესებს და რაც ცხოვრებაში გამოადგება. სხვა საგნებთან ერთად ვასწავლით ჭრა-კერვას, ქსოვას, ცეკვას, სიმღერას.

— ერთხელ საქველმოქმედო კონცერტის შემოსავალი გადმოგვცეს, — ამბობს ქალბატონი ნინო, — პირველად ვიფიქრეთ, იმ თანხით რაიმე გვეყიდა ბავშვებისთვის, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტეთ ფული მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის გადაგვერიცხა. უნდა გენახათ, რა ამაყები და ბედნიერები დადიოდნენ ჩვენი ბავშვები.

სივიწროვის გამო რაიონებიდან ვერ ვიღებთ ბავშვებს. „ივერთბანკი“ დახმარებას დაგვპირდა. მათი ხელშეწყობით მეორე სართული თუ დავაშენეთ, შევძლებთ პატარა ინტერნატის მოწყობას.

ბავშვთა ფონდი, წითელი ჯვარი, ხსნის არმია მათ ეხმარებიან პროდუქტებით მომარაგებაში, მოსწავლეები სკოლაში სადილობენ, ხოლო შაბათ-კვირისათვის რძის ფხვნილი და ხორცის კონსერვები შინ მიაქვთ. თუმცა ამ კეთილშობილურ ნაბიჯს ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა.

— თუ გვენდობიან, ბოლომდე უნდა გვენდონ, — გულისტკივილით ამბობს ქალბატონი ნინო, — ხშირად შევსწრებივარ, რომ სადილობისას ბავშვი პურის ნაჭერს ჭამს, კატლეტს კი ქაღალდში ახვევს: ჩემს ძმას ან დას წავუღებო. რა გული გაგიძლებს, რომ მას დამატებითი ულუფა არ მივცე. შემოწმებისას ვუხსნით „გადახარჯვის“ მიზეზს, მაგრამ ხშირად არ გვიჯერებენ.

—მეტყველების დეფექტი გონებრივ განვითარებაზეც მოქმედებს. როგორ სწავლობენ ბავშვები?

— ყველა ბავშვის შესაძლებლობები და მონაცემები კარგად ვიცით, — თქვა ბატონმა მარლენმა, — სახელმძღვანელოებიც ჩვენებურად გადავამუშავეთ, — რაც მთავარია, შესანიშნავი პედაგოგები გვყავს.

— მათი დახმარებით ჩვენ შევძლებთ ბოლომდე მივიყვანოთ დაწყებული საქმე, — ღიმილით დაუმატა ქალბატონმა ნინომ, ახალგაზრდა, ხალისიანმა მანდილოსანმა. მასთან საუბრისას უეჭველად ირწმუნებთ, რომ ეს არაჩვეულებრივი სკოლა მრავალ ფიზიკურად თუ სულიერად ჯანსაღ ადამიანს შეჰმატებს ჩვენს საზოგადოებას.

**მარინე ნაკაიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მტირალს ხომ ვერ მიატოვებ?

## ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

### ჩვენს ტრადიციულ რუბრიკაში განვაგრძობთ დიალოგს თქვენთვის საინტერესო საკითხებზე

**— ცოტა ხნის წინათ ნერვიულობა შემხვდა და მეჩვენება, რომ ბავშვს მას შემდეგ ცუდად სძინავს და ცუდად ჭამს.**

— ადვილი შესაძლებელია, ეს მოვლენები ურთიერთკავშირში იყოს. ცნობილია, რომ ნერვიული მშობლების შვილებსაც აღენიშნებათ სხვადასხვა სახის ნერვიული მოვლენები. თუმცა ეს მარტო მემკვიდრეობით როდია განპირობებული, მაგრამ გარკვეული მიდრეკილება ნერვიული არასტაბილურობისადმი თანდაყოლილია. მიუხედავად ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს. მუდმივი შფოთი, გაუწონასწორებლობა, აღზრდაში დაშვებული არათანმიმდევრულობა ბავშვზე გავლენას ახდენს პირველივე თვეებიდან. სხვათაშორის, ისიც საინტერესოა, რომ ბავშვზე ზოგჯერ უარყოფითად მოქმედებს მშობლების მეტისმეტი მზრუნველობა. ასეთ შემთხვევაში ბავშვს თავის თავის რწმენა ეკარგება, არ არის საჭირო პაწიას სათბურის პირობები შევუქმნათ.

წამოიტირებს თუ არა, მთელი ოჯახი ფეხზე დგება, ზოგი საწოვარას ჩრის, ზოგი საჟღარუნოს, ხელში აჰყავთ, არწევენ, სანამ ბავშვი არ შეწყვეტს ტირილს, შემდეგ კი ფეხის წვერებზე გადიან მეორე ოთახში და ყველაფერი ისევ მეორდება, როცა პატარა კვლავ წამოიტირებს. ოჯახის წევრები ერთმანეთს ადანაშაულებენ ბავშვის ტირილის გამო. ეს პატარ-პატარა იმპულსები გავლენას ახდენენ ბავშვის ფსიქიკაზე — შლიან მას.

**— გუშინ ისე გამომიყვანა წონასწორობიდან, რომ ხმამაღლა დავუყვირე და მერე კარგა ხანს ველარ დავმშვიდდი.**

— ორი შეცდომა ერთად მოგსვლიათ. წონასწორობიდან გამოსვლა, უხეშობა დიდი შეცდომაა, რადგან თქვენი აღმზრდელობითი მეთოდის მიზანი ხომ ისაა, თავშეკავება ასწავლოთ ბავშვს, თქვენი საქციელი კი იმას აჩვენებს, რომ თავად არ შეგიძლიათ თავშეკავება. მერე კი ზედმეტი მოფერებით თითქოს ბოდიშს იხდით თქვენი საქციელისათვის, არადა, თქვენ სულ საპირისპირო რამ გსურდათ: გეჩვენებინათ მისთვის, რომ ცუდი საქციელის გამო გაუბრაზდით. განწყობილების უკიდურესი ცვლილებანი აბნევს ბავშვს და სრულიად საპირისპირო ეფექტს იძლევა.

**— კი მაგრამ, მტირალს ხომ ვერ მიატოვებ?**

— ეს დედობის ინსტინქტია: მოძებნოს და აღმოფხვრას ტირილის მიზეზი, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ყოველთვის მის ჭკუაზე იაროთ, პირიქით, უნდა შეძლოთ ფლობდეთ ბავშვის ემოციებს და აკონტროლებდეთ კიდეც.

როცა ყველა საშუალებით ცდილობთ მის სიამოვნებას და დაწყნარებას, ბავშვი დაასკვნის, რომ ტირილის შედეგად ბევრნაირი სიამოვნების მიღება შეუძლია.

აბა ახლა გაიხსენეთ, როგორ ეპყრობით, როცა კარგად იქცევა — არ ტირის. სულაც არ აქცევთ ყურადღებას და ცდილობთ ეს თავისუფალი წუთები სხვა საქმისათვის გამოიყენოთ. ამ დროს ბავშვი აკვირდება გარემოს, რომელიც არ იცვლება, არ იღებს ახალ შთაბეჭდილებებს, წყინდება და ტირილს იწყებს. აი, მაშინ კი, მივარდებით და რას აღარ ცდილობთ. ამით ხომ ბავშვს აჩვევთ აზრს, რომ ტირილი მისთვის მომგებიანი პოზიციაა მაშინ, როცა კარგი ქცევა არაფრად ფასობს.

ამიტომ უნდა ეცადოთ მოიგონოთ მისთვის პატარ-პატარა სიამოვნებანი, როცა კარგად იქცევა. ჩამოუკიდეთ ახლო-მახლო სათამაშო, დაანახეთ ფანჯრის იქით ხეები, მოძრავი საგნები, ელაპარაკეთ, ხანდახან ხელშიც აიყვანეთ, მუცელზე დააწვინეთ, მაგრამ ძალიან არ გადაღალოთ.

ნელ-ნელა უნდა შეაჩვიოთ, რომ გარკვეული დრო, ვთქვათ, ერთი საათი, მან თვითონ უნდა გაირთოს თავი.

ჭკვიანი დედა კარგად გრძნობს, რა არის ზედმეტი და რა — აუცილებელი. თუ პატარა კარგ ხასიათზეა, ესე იგი, დედა სწორად იქცევა.

თუ იმიტომ ტირის, რომ სველია ან შია, მაშინვე უნდა მიხედვა. თუ უმიზეზოდ ტირის — აცალეთ.

**— კი ვეცადე ასე მოვქცეულიყავი, მაგრამ ტირილისაგან სულ გალურჯდა.**

— და შეგეშინდათ ჩაბჟირების ხომ? ნუ გეშინიათ, ეს მომენტალურია და ჯანმრთელი ბავშვისათვის საშიში სულაც არ არის, ისეთი სახე მიიღეთ, ვითომც ყურადღებას არ აქცევთ მის ტირილს, ისე კი, ცივ წყალში დაასველეთ ნაჭერი, დაითვალეთ ათამდე და თუ არ ჩაისუნთქა, მსუბუქად დაარტყით სახეზე. როცა ჩაისუნთქავს, არ დაუშვათ შეცდომა და ხელში არ აიყვანოთ, რადგან მისი მიზანიც სწორედ ეს იყო. ხელში მხოლოდ მას შემდეგ აიყვანეთ, ტირილს რომ შეწყვეტს.

მშობლები ხშირად გრძნობენ კიდეც, რომ მათი პირმშო ცუდ ჩვევებს ეუფლება, მაგრამ თავის პასიურობას ამართლებენ იმით, რომ ბავშვი ჯერ ძალიან პატარაა, როცა წამოიზრდება, მერე გაუსწორებენ შეცდომებს და ა. შ. აი, სწორედ ეს არის პრინციპული ხასიათის შეცდომა, რადგან რაც უფრო მეტი ხნისაა ბავშვი, მით უფრო ძნელია მასში არასწორი ჩვევების აღმოფხვრა და მით მეტ ტრავმას აყენებს მას ეს დაგვიანებული ჩარევა.

არ შეიძლება აღზრდა გადავდოთ შემდეგისათვის, როცა დრო გვექნება ან როცა პატარა წამოიზრდება.

**— ჩვენთვის პრობლემაა მისი დაძინება. თავისით არასოდეს იძინებს.**

— არიან ადამიანები, რომლებიც ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ სიტუაციაში იძინებენ, მაგრამ უმეტესობას ამისათვის საგანგებო მომზადება სჭირდება. ზოგი სხვის საწოლში ვერ იძინებს, ზოგს თავისებურად დაწყობილი ბალიშები სჭირდება, ზოგისთვის ძილის წინ აუცილებელია რამის წაკითხვა და ა. შ. ზოგჯერ ეს უვნებელი და სასარგებლოც კია, თუ ადამიანს ვთქვათ დაუბანლად და კბილების გაუხეხავად დაძინება არ შეუძლია, მაგრამ აკვიატებული ჩვევები ხანდახან აუტანელი ხდება, ასე რომ, ნუ მივაჩვევთ ბავშვს რაიმეს უჩვეულოს.

ბავშვი არ იძინებს თუ არ არწევთ, ნანას არ უმღერით, ზღაპარს არ უამბობთ, თოჯინას არ ჩაუწვენთ და სხვა.

მართალია, ზოგი რამ ტრადიციული და მშვენიერია, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბავშვი მათ გარეშეც შესძლებს დაძინებას.

# ვაჩუქოთ ერთმანეთს

ალბათ გახსოვთ ეკა ქუთათელაძის ნინიკო რუსთავის თეატრის გახმაურებული სპექტაკლიდან „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, ან კი როგორ დაგვავიწყდება, ეკას გმირმა ხომ სრულად გვაგრძნობინა გულწრფელი სიყვარულის ფასი.

ორიოდე სიტყვა ეკას შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან: 1978 წელს დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი და რუსთაველის თეატრში დაიწყო მუშაობა. მისი დებიუტი შედგა თამარის როლით „მთვარის მოტაცებაში“, რომელიც მამამისმა, ცნობილმა რეჟისორმა, ანზორ ქუთათელაძემ დადგა. ეს ეკას სადიპლომო ნამუშევარი იყო. მას შემდეგ მრავალი როლი განასახიერა კინოსა და თეატრში. მონაწილეობდა სპექტაკლებში, „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, „რევიზორი“, „თოლია“, „გვირგვილიანების ოჯახი“, „გუშინ, დღეს, ხვალ“, „თევდორე“... ფილმებში: „მევლუდი“, „ლოლიტა“, „მოქცევა“ მიწვეული იყო კიევში, იტალიაში, თურქმენ-ფილმში, სადაც გადაიღეს ორსერიან ფილმში „საიდუმლო ელჩი“.

ეკა ქუთათელაძეს რომელიმე როლის გამორჩევით გამოყოფა უჭირს. როგორც თვითონ განაცხადა, ყველა მათგანში მისი სულის ნაწილი დევს, ისე კი... ყველაზე ძალიან მაინც „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, „თოლია“ და „თევდორე“ უყვარს.





**— ეკა, მაყურებელმა უფრო ნინიკოს როლით გაგიცნოთ და შეგიყვარათ. რაიმეს ხომ არ გაიხსენებდით?**

— „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ მართლაც საოცრად იზიდავდა ხალხს, მაშინ 21 წლისა ვიყავი, ახალი დაწყებული მქონდა რუსთავის თეატრში მუშაობა და ასეთი წარმატება ძალიან მახალისებდა.

სპექტაკლზე მუშაობისას კი, რაღა დაგიმალოთ, ხშირად ვკამათობდით. ამის გამო რეპეტიციები ჭიანურდებოდა. ერთხელ პიესის ავტორი ისე გაგვინაწყენდა, რომ მიგვატოვა და ერთი კვირის მერე გამოჩნდა. ჩემი პარტნიორი რეზო ჩხიკვიშვილი იყო, ხშირად ვჩხუბობდით, სცენაზეც კი, მერე შევეჩვიეთ ერთმანეთს და კარგი დუეტი გამოგვივიდა.

ბევრი საინტერესო რამ გადაგვხვდა ამ სპექტაკლის ჩვენებისას.

ქობულეთში ვიყავით გასტროლებზე. მოულოდნელად ცუდად გავხდი — ხელზე ძირმაგარა გამომივიდა, მომცა მაღალი სიცხე. წინა დღით რეზო გავაფრთხილე, ხელი არ მახლო-მეთქი, ფიქრი ნუ გაქვსო, — მითხრა რეზომ, — მაგრამ დაპირება დაავიწყდა, როლში თანდათან შეიჭრა და ხელიც გვარიანად მკრა. ტკივილისაგან გული წამივიდა. გულმავიწყი პარტნიორი არ დაბნეულა, მომასულიერა და თამაში გავაგრძელეთ. მაყურებელი ვერაფერს მიხვდა.

სოფელ მუხრანში ვიყავით. სპექტაკლში არის ასეთი მომენტი: მე და კოკას ბებია (ქ-ნი ია ხობუა) ვსხედვართ მაგიდასთან და კოკაზე ვსაუბრობთ, თან ჩაის ვსვამთ. ჩაის მართლა ვსვამდით, ელექტროჩაიდანი გვქონდა წაღებული და იმით ვაცხელებდით. მაშინ ზამთარი იყო, ძალიან ციოდა; უცებ შუქი გამოირთო. ვისხედით სიცივესა და სიბნელეში. ხალხი არ დაბნეულა. სახლებიდან ლამფები მოიტანეს, მერე სინათლეც მოვიდა და განვაგრძეთ თამაში.

ყველგან, სადაც კი სპექტაკლი ვაჩვენეთ, მაყურებლისაგან დიდ სიყვარულს ვგრძნობდით. არ დამავიწყდება, როგორ ტიროდნენ რუსთავის კოლონიის პატიმრები, როგორ ეხვეწებოდნენ ციხის ზედამხედველს, ნება დაერთო, სცენასთან ახლოს მოსულიყვნენ, რათა ჩვენთვის მადლობა ეთქვათ.

ამიტომ არის, რომ გამორჩევით მიყვარს „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, იგი მაყურებლის გულწრფელმა ემოციებმა შემაყვარა.

**— ეკა, რამ განაპირობა თქვენი მსახიობობა?**

— ოჯახურმა გარემომ. მამა რეჟისორია. მუშაობდა მარჯანიშვილის თეატრში. ბავშვობაში ხშირად დავყავდი თან. იქ ვხვდებოდი ვერიკო ანჯაფარიძეს, სესილია თაყაიშვილს, ვასო გოძიაშვილს, იაკობ ტრიპოლსკის... რომელი ერთი ჩამოვთვალო. თითქმის მათთან გავიზარდე. ვსწავლობდი ყველა სპექტაკლს, ვეცნობოდი მსახიობის შემოქმედებას და კულისების ცხოვრებას. როცა წამოვიზარდე, სამხატვრო აკადემიაში მსურდა შესვლა, მაგრამ თეატრის სიყვარულმა მძლია.

**— თქვენთვის მთავარი, ალბათ თეატრია...**

— ჩემთვის ყველაზე დიდი შემოქმედება ოჯახი და შვილებია.

**— გაგვაცანით, თუ შეიძლება თქვენი ოჯახი.**

ჩემი მეუღლე ვაჟა მინდიაშვილი, ადრე ერთად ვმუშაობდით თეატრში,

# სიხარული!



ეკა ქუთათელაძე შვილებთან



„დარაბებს მიღმა გაზაფხულია". ნინიკო — ეკა ქუთათელაძე, კოკა — რეზო ჩხიკვიშვილი.



კადრი ფილმიდან „მევლუდი".



„დარაბებს მიღმა გაზაფხულია"



„მჭედელი თავის ბედისა". ფატი — ეკა ქუთათელაძე.

ახლა სასულიერო სემინარიაში სწავლობს. გვყავს სამი შვილი. უფროსი ნატო კულტურის აკადემიაში სწავლობს, სამხატვრო ფაკულტეტზე, არჩილი ჯერ სკოლის მოსწავლეა, ალექსანდრე მხოლოდ ერთი წლისაა, ლაპარაკს ახლა იწყებს.

**— როგორი დიასახლისი ბრძანდებით?**

— ძალიან მიყვარს სამზარეულოში ტრიალი, კერძების გემრიელად მომზადება. ახლობლები ამ საქმის პროფესიონალად მთვლიან. ძალიან მიყვარს საცივი, ღომი, ელარჯი. ქალის უპირველეს დანიშნულებად კარგი დედობა და დიასახლისობა მიმაჩნია. ქალმა უნდა იყოლიოს ბევრი შვილი და კარგად მოუაროს.

**— თავისუფალი დრო თუ გრჩებათ და როგორ იყენებთ?**

— თუ დრო გამოვნახე, ვკითხულობ, ვქსოვ ან ვქარგავ, ჩემი ჰობი ქარგვაა. ამოქარგული მაქვს წმ. გიორგის ხატი, რომელიც პეტრე-პავლეს ეკლესიას შევწირე. ძალიან მიყვარს ახლობლებთან, მეგობრებთან ყოფნა. არაფერი შეედრება იმას, როცა გარს გახვევია შვილები, მეუღლე, მშობლები, მეგობრები, მათთვის ფუსფუსებ, ზრუნავ და ირჯები.

**— რაზე ოცნებობთ?**

— ძალიან მინდა ფილმი გადავიღო ქალებზე. რამდენი სატკივარი, საფიქრალი აქვს ქალს ცხოვრებაში... მინდა თეატრში დაბრუნება — მე ხომ შემცირებაში მოვყევი...

და უპირველესად ვოცნებობ, რა თქმა უნდა, ბედნიერ, თავისუფალ საქართველოზე, ჩვენმა შვილებმა ლაღად რომ იცხოვრონ.

**— რას უსურვებდით ქართველ მაყურებელს?**

— ჩემი სურვილია, თეატრში იარონ. მართალია გაჭირვებაა, მაგრამ ლენინგრადელები ბლოკადის დროსაც ესწრებოდნენ სპექტაკლებს. იარონ თეატრში, მიიღონ სულიერი საზრდო და ჩვენც მოგვანიჭონ სიხარული. როცა მსახიობს ოვაციებს უმართავენ, მისთვის ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. ჰოდა, ვაჩუქოთ ერთმანეთს სიხარული.

ესაუბრა **ლეილა გორდეზიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ნაბოკოვი

# ჭექა—ქუხილი



მხატვარი კარლო ფაჩულია



კუთხეში, აყვავებული ცაცხვის ჩრდილქვეშ გადარეული სურნელება შემომეგება, უზარმაზარი ნისლები ღამეული ცისკენ მიიწევდნენ და როცა უკანასკნელი ვარსკვლავის გამონაშუქიც შთანთქეს, თითქოს შეუმჩნეველმა ბრმა ქარმა დაცარიელებული ქუჩების გასწვრივ მდაბლად ჩაიქროლა. ბინდბუნდში, სადალაქოს რკინის დარაბებს მიღმა, ოდნავ ბჟუტავდა ჩამოშვებული ოქროსფერი ფანარი.

შინ დაბრუნებულს ქარი ოთახში დამხვდა — როდესაც კარი დავხურე, ნაჩქარევად დაიხია უკან და ფანჯრის ჩარჩო მიაჯახუნა. ფანჯრიდან ღრმა ეზო მოჩანდა, სადაც დღისით, იასამნის ბუჩქებს შორის, თოკზე გადაკიდებული ღია ფერის პერანგები ანათებდნენ და ხანდახან ისე ნაღვლიან ყეფასავით ისმოდა მეძველმანეების, ძველი ბოთლების შემსყიდველების ხმები— თითქოს ეს-ესაა აქვითინდებაო დამახინჯებული ვიოლინო. ერთხელ კი, ერთი ქერა, ჩათქვირებული დედაკაცი მოვიდა, შუა ეზოში დადგა და ისე კარგად იმღერა, რომ ყველანი ფანჯრიდან გადმოეკიდნენ. გამოჩნდა მოსამსახურეების შიშველი კისრები და შემდეგ, როცა ქალმა დაამთავრა, უჩვეულო სიჩუმემ დაისადგურა — მხოლოდ უსიამოვნო ქვრივი ქალი, ვისგანაც ოთახი მქონდა დაქირავებული, დერეფანში ხმამაღლა სლუკუნებდა და ხმაურით იწმენდდა ცხვირს.

ახლა კი, იქ, ქვევით, სულის შემხუთველი წკვარამი იყო დაგუბებული, მაგრამ აი, ბრმა ქარმა, უსუსურად რომ ჩაალწია სიღრმეში, ისევ ჩამოუბერა და უცებ თვალი აეხილა, დაიღმუვლა და შავი კედლის ქარვისფერ ნაშებში აფუსფუსდნენ ხელების ჩრდილები. ისინი იჭერდნენ გაფრენილ ჩარჩოებს, ხმაურითა და მტკიცედ რაზავდნენ დარაბებს. ფანჯრებში ჩამობნელდა და იმწამსვე მუქ ლილისფერ ცაზე აწრიალდა, გაისრიალა ყრუ გრგვინვამ, შორეულმა ქუხილმა და ყველაფერი მიწყნარდა ისე, როგორც ის, სავსე მკერდზე ხელებმიკრული მომღერალი მათხოვარი.

ამ სიჩუმეში ჩამეძინა, დასუსტებულს იმ ბედნიერებისაგან, რომელზეც წერა არ შემიძლია და ჩემი სიზმარი შენით იყო სავსე.

გამომეღვიძა, რადგან ღამე ჭკუიდან იშლებოდა. ველური, ფერმკრთალი სიბრწყინვალე დაცურავდა ცაზე, როგორც ვეებერთელა ჩხირების ნაჩქარევი ანარეკლი, ქუხილი ქუხილზე ანგრევდა ცას. ხვავრიელად და ხმაურით წვიმდა.

ვთვრებოდი ამ მოცისფრო შეკრთომებით, მსუბუქი და ცხარე სიცივით. სველ რაფასთან ვიდექი და არამიწიერ ჰაერს ვისუნთქავდი, გული კი მინასავით რეკდა.

სულ უფრო ახლოს და სულ უფრო არაჩვეულებრივად გრუხუნებდა ღრუბლებში წინასწარმეტყველის ეტლი. გადარეული შუქით, გამყინავი ჩვენებებით იყო გაცისკროვნებული ღამის სამყარო, რკინის დაფერდებული სახურავები, მქროლავი იასამნის ბუჩქები. ცეცხლოვან ეტლში ოდნავ უკან გადახრილი იდგა მრისხანე წვეროსანი. ქარისაგან მხარზე გადაგდებული თვალისმომჭრელი, გამჭვირვალე სამოსით შემოსილი ჭექა-ქუხილის ღმერთი და დაძაბული ხელებით თავის გიგანტურ ცხენებს აურვებდა. შავრა მერნები იყვნენ, ალმოდებული იისფერი ფაფრებით. ისინი მიქროდნენ, ტკაცუნა საპერწკლიდან ქაფს ისროდნენ, ეტლი იზნიქებოდა, ამაოდ ქაჩავდა დაბნეული წინასწარმეტყველი სადავეებს; სახე ქარისგან დამახინჯებოდა. გრიგალმა გაჭირვებით გადამალა მოსასხამის ნაკეცები და ყოვლისშემძლე მუხლი გაუშიშვლა. ცხენები კი, ალმოდებული ფაფრების ფრიალით, უფრო და უფრო გადარეულად მიფრინავდნენ ღრუბლებს ქვევით. აი, მქუხარე ჩურჩულით გადაიქროლეს გაცისკროვნებულ სახურავზე. ეტლი აყირავდა, ელია დაბარბაცდა და ცხენები, მიწიერი ლითონის შეხებისაგან გაცოფებულები, კვლავ აცმუკდნენ. წინასწარმეტყველი ჩამოვარდა. ეტლს ერთი ბორბალიც მოძვრა. ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ ჩამოგორდა სახურავზე ვეება ცეცხლოვანი ფერსო და წყვდიადში ჩაინთქა. ცხენები კი ალუბლისფერ ღრუბლებში მიფრინავდნენ და გადაბრუნებულ, მოხტუნავე ეტლს მიაქროლებდნენ. გუგუნი შეწყდა და ელვის ცეცხლი ლილისფერ უფსკრულში გადაიკარგა.

სახურავზე დავარდნილი ჭექა-ქუხილის ღმერთი მძიმედ ადგა, ფეხი დაუცურდა და საჰაერო ფანჯარა ჩატეხა, ამოიოხრა, ხელით მილს მოეჭიდა. ნელ-ნელა ატრიალებდა ჩამუქებულ სახეს და თვალებით რაღაცას ეძებდა — ალბათ ოქროს ღერძიდან მომძვრალ ბორბალს. მერე ზევით აიხედა, გაწეწილ წვერს თითებით ჩაებღაუჭა და გაბრაზებულმა გადააქნია თავი (ეს, ალბათ, პირველი შემთხვევა არ იყო) და კოჭლობით ფრთხილად დაეშვა ძირს.

ფანჯარას მოვწყდი. ანერვიულებულმა ნაუცბათევად მოვისხი ხალათი და დაქანებული კიბით ეზოსკენ დავეშვი. ქუხილს გადაევარა, მაგრამ ისევ წვიმდა. აღმოსავლეთი საოცრად ნათდებოდა.

ეზო, რომელიც ზემოდან გაუვალი წყვდიადით ჩანდა მოცული, სინამდვილეში თხელი, გამჭვირვალე ნისლით იყო სავსე. შუაში, სინესტისაგან დაბინდულ გაზონებში წელში მოხრილი, გამხდარი, სველმოსასხამიანი მოხუცი იდგა, რაღაცას ბურდღუნებდა და განზე იხედებოდა. მე რომ შემამჩნია, გაბრაზებულმა თვალები მოჭუტა.

— შენ ხარ, ელისე?

თავი დავუკარი. წინასწარმეტყველმა ენა გააწკლაპუნა და ხელისგულით შავგვრემანი მელოტი თავი შეიმშრალა.

— ბორბალი დავკარგე და მ მიძებნე ერთი.

აღარ წვიმდა. სახურავებს მიღმა უზარმაზარი ღრუბლები ბრიალებდნენ. ირგვლივ, მოცისფრო, მთვლემარე ჰაერში მიცურავდნენ ბუჩქები, ღობე, ბრჭყვიალა ბუდრუგანა. დიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანს ვაფათურებდი ხელს კუთხე-კუნჭულში. მოხუცი ბუზღუნებდა, მძიმე გულსაფარს იკეცავდა, ბლაგვცხვირიანი სანდლებით გუბეებში ჭყაპუნობდა და მსხვილი, კეხიანი ცხვირის წვერზე გამჭვირვალე წვეთი ეკიდა. იასამნის დაბალი ტოტები გადავწიე და ნაგვის გროვაში, შუშის ნამსხვრევებზე თხელი რკინის ბორბალი შევნიშნე — ალბათ, საბავშვო ეტლისა იყო. მოხუცმა ზედ ყურთან მომაფრქვია ცხელი ჰაერი და ნაჩქარევად, უხეშადაც კი გამწია განზე. ბორბალს ხელი ჩაავლო და აიღო. მერე მხიარულად ჩამიკრა თვალი:

— ნახე, სად შეგორებულა...

შემდეგ ჭაღარა წარბები მოჭმუხნა, მომაჩერდა და თითქოს რაღაცა გაიხსენაო, შთამაგონებლად მითხრა:

— ელისე, შებრუნდი.

მე დავუჯერე. თვალებიც კი მოვხუჭე. დაახლოებით ერთი წუთი ვიდექი ასე. მეტი ველარ გავძელი.

ცარიელი ეზო. მხოლოდ ბებერი, გახუნებულ დრუნჩიანი, ბანჯგვლიანი ძაღლი გამოძვრა ბუდრუგანიდან და თაფლისფერი თვალებით შეშინებული ადამიანივით აიხედა ზევით. თავი ავწიე. ელია სახურავზე მიცოცავდა და ზურგზე რკინის ფერსო უელავდა. შავი მილების, ნარინჯისფერ, დახუჭუჭებულ ნისლს მიღმა, განთიადის ღრუბელი ჩანდა. მის უკან მეორე, მერე — მესამე. მე და გაყუჩებული ძაღლი ერთად ვუცქერდით, როგორ მშვიდად და აუჩქარებლად გადაინაცვლა წინასწარმეტყველმა სახურავის კენწეროდან ღრუბელზე და ზევით-ზევით იწყო აცოცება, ფრთხილად მიაბიჯებდა ფაშარ ცეცხლზე.

მზემ მის ბორბალს მიაშუქა და იმ წუთშივე უზარმაზარ ოქროს ფერსოდ გადაიქცა. თვითონ ელიაც უკვე ალმოდებული ჩანდა და სამოთხის ღრუბელთან შერწყმული, სულ უფრო ზევით მიიწევდა, მერე კი აალებულ, ჰაეროვან გამოქვაბულში გაუჩინარდა.

მხოლოდ მაშინ დაიყეფა ჩახრინწული ხმით დაჩაჩანაკებულმა ძაღლმა და ჭავლი წვიმისგან დატოვებულ კვალს მიაწყდა. მსუბუქი ნიავისაგან აივნებზე ალისფერი ნემსიწვერა შეირხა. ორმა-სამმა ფანჯარამ გამოიღვიძა. დასველებული ფეხსაცმელებითა და გამოხუნებული ხალათით ქუჩაში გამოვვარდი და პირველსავე მთვლემარე ტრამვაის გავეკიდე. სირბილისას კალთებს ვიკეცავდი და თან მეცინებოდა, როცა წარმოვიდგენდი, როგორ მოვიდოდი შენთან და მოგიყვებოდი ღამეულ საჰაერო მარცხსა და გაბრაზებულ ბებერ წინასწარმეტყველზე, ჩემს ეზოში რომ ჩამოვარდა.

თარგმნა **ნათია გვასალიამ**

# როდის ნიშნავს მათი უარი თანხმობას?

**ჩვენში** გავრცელებულია აზრი იმის თაობაზე, რომ დასავლეთში თითქმის არ არსებობს სექსუალური ბარიერები, თითქოს იქ ყველაფერი ნებადართული და გამარტივებულია. ეს მცდარი შეხედულება გახლავთ, პრობლემები იქაც საკმაოდაა, ამის დასტურია ჟურნალისტ ფრანსისკო დორადოს შემდეგი წერილი.



„ის ჩვენი მეხუთე შეხვედრა იყო. საღამოს ისაბელმა სახლში მიმიწვია. ოთახში სანთლები დაანთო და ღვინო დამისხა. მე ტახტზე დავჯექი. მალე ისიც გვერდით მომიჯდა. რამდენიმე წუთი სხვადასხვა თემაზე ვლაპარაკობდით, შემდეგ ხელი გადავხვიე და ვაკოცე. მას წინააღმდეგობა არ გაუწევია, პირიქით, პერანგი გამიხსნა და ზურგზე მომეფერა. მე სიამოვნებისაგან გამაჟრჟოლა და ის იყო პერანგქვეშ შევუცურე ხელი, რომ ისაბელი წამოხტა და არაო, მომახალა. მე ცოტა დავიცადე და თამაშის თავიდან დაწყება ვცადე, მაგრამ წინანდელზე მტკიცე უარი მივიღე. ჩვენ მაინც ვეფერებოდით ერთმანეთს, თუმცა პირვანდელი ხიბლი საპნის ბუშტივით გასკდა. მალე თავი უხერხულად ვიგრძენი და წასასვლელად წამოვდექი. „მოხდა რამე?“ მკითხა ისაბელმა გულუბრყვილოდ. მე ჩავიბურტყუნე: არაფერი-მეთქი და გავიქეცი. გზაში ვცდილობდი უარის მიზეზს ჩავწვდომოდი. იქნებ შესაფერისი მომენტი ვერ შევარჩიე? ან იქნებ ნაკლებ აგრესიულად ვიქცეოდი? ვერაფერს ვხვდებოდი. მისი სხეული ერთს მეუბნებოდა, ტუჩები — მეორეს. ერთი პირობა ეჭვიც შემეპარა, ალბათ მეტი დაჟინებით რომ მეთხოვა, სანუკვარ თანხმობასაც მივაღწევდი-მეთქი.

მახსოვს, რა აჟიოტაჟი გამოიწვია ჩემს მეგობარ გოგონებში ფილმის „ჩემი საყვარელი დეტექტივი“ ერთმა სცენამ, სადაც დენის ქუაიდი გამოუცდელ ელენ ბარკინს აცდუნებს. თავიდან ელენიც უარზეა, მაგრამ როგორც კი დენის ქუაიდი ქვედაკაბაშა შეუცურებს ხელს, უსიტყვოდ ნებდება.

მე კი ვიტყოდი, რომ ასეთი რამ მხოლოდ ფილმებში ხდება. ცხოვრებაში ასეთ თამამ ნაბიჯს უკეთეს შემთხვევაში გემრიელი სილა მოჰყვება-ხოლმე. არადა, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, აგრესიული კაცები აღარ არიან მოდაში. ჩვენ ყოველი ნაბიჯი და მოქმედება მისხალ-მისხალ უნდა ავწონოთ, მაგრამ საკმარისია რამე შეგვეშალოს, ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება. ამდენ წვალებას არ სჯობია ერთი გულახდილი საუბარი, ვთქვათ რესტორანში ან ბარში ორივე პარტნიორის სექსუალური მოთხოვნილების დასადგენად?! მაგალითად: პატრიცია, რა გირჩევნიათ, კიდევ ერთი ჭიქა დავლიოთ თუ სახლში წავიდეთ და ერთად დავწვეთ? ის მიპასუხებდა: სახლში წასვლა მირჩევნია, დალევას მერეც მოვასწრებთო.

ახლა სექსზე საუბარი ჩვეულებრივი ამბავია, ვლაპარაკობთ პრეზერვატივებზე, კონტრაცეპტივებზე, სექსუალურ მოთხოვნილებებზე ზოგადად, მაგრამ როცა საქმე ჩვენ საკუთარ სურვილებს ეხება, პირში წყალს ვიგუბებთ.

არის კიდევ ერთი გამოსავალი. ქალმა აიღოს ინიციატივა საკუთარ თავზე, თუმცა ეს ბევრ თქვენგანს არ მოეწონება.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ყველა ქალი, ვინც ოდესმე მომწონებია, ულაპარაკოდ უნდა გამომყვეს საწოლოთახში, ბევრი უარი მიმიღია და კიდევ ბევრს მივიღებ, მაგრამ როცა აშკარად ვგრძნობ, რომ ქალსაც მოვწონვარ, სურს ჩემთან ყოფნა და მაინც უარს მეუბნება, აღარ ვიცი, რა ვქნა. იქნებ ისევ თქვენ მირჩიოთ რამე, ძვირფასო ქალებო?“

ესპანურიდან თარგმნა
**თეა გვასალიამ**
ჟურნალი „კოსმოპოლიტან“

# სქესობრივი მომწიფების

ბავშვის ორგანიზმი სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული ინტენსივობით იზრდება და ვითარდება. ძუძუთა ბავშვი სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში წონაში სამჯერ, სიმაღლეში კი 20-25 სმ-ით იმატებს. სქესობრივი მომწიფების დროსაც სიმაღლეში მატება წელიწადში 20-25 სმ-ია.

გაძლიერებული ზრდის ეს პერიოდები, რასაც თან ორგანიზმის ყველა ფუნქციონალური სისტემის დაძაბვა ახლავს, ბავშვის განვითარებაში კრიტიკულ პერიოდად ითვლება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სქესობრივი მომწიფების პერიოდი, ე. წ. პუბერტატი.

სქესობრივი მომწიფების პერიოდი ხასიათდება სხეულის გაძლიერებული ზრდით, ბავშვის გარეგნული იერის შეცვლით, თითქმის ყველა ორგანოსა და სისტემის სპეციფიური ცვლილებებით. მთელი რიგი მკვეთრი ცვლილებები გამოიკვეთება აგრეთვე ბავშვის ფსიქიკასა და ქცევაში. ცვლილებათა ამგვარი განვითარება რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდება. ყველა ეს უცნაური ცვლილება დროებითია და ნორმალურ ფიზიოლოგიურ პროცესად ითვლება.

სქესობრივი მომწიფების პერიოდი გოგონებს ჩვეულებრივ 1,5-2 წლით უფრო ადრე ეწყებათ, ვიდრე ბიჭებს. სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფში, ქალაქისა და სოფლის ბავშვებში, ცალკეულ ინდივიდებში სქესობრივი მომწიფების დასაწყისი და დასრულება განსხვავებულია. არსებობს სქესობრივი მომწიფების რამდენიმე ფაზა და თითოეული 2-დან 3 წლამდე გრძელდება.

პირველ — მოსამზადებელ ფაზაში წინა პლანზეა სწრაფი ზრდა და მეორადი სქესობრივი ნიშნების საწყისი განვითარება.

მეორე — სქესობრივი მომწიფების ფაზაში ხდება სასქესო ორგანოების ყველაზე ინტენსიური განვითარება და მომწიფება (მაგალითად, მენსტრუაციის დაწყება გოგონებში, ვაკულაცია ბიჭებში და სხვა.) და მეორადი სასქესო ორგანოების საბოლოო განვითარება. ამ ფაზაში შეიმჩნევა სქესობრივი მომწიფების პერიოდისათვის დამახასიათებელი ინტენსიური ზრდის შენელება.

მესამე — სიჭაბუკის ფაზაში ხდება სქესობრივი მომწიფების მძაფრი გამოვლინების კონსოლიდაცია და დასრულება.

გოგონების უმეტესობას სქესობრივი მომწიფების პერიოდი 10-12 წლის ასაკში ეწყება, რაც ბოლოვდება 2-2,5 წლის შემდეგ მენსტრუაციის მოსვლით, თუმცა ბევრ გოგონას სქესობრივი მომწიფება შეიძლება 10 წლამდე ან 12 წლის შემდეგ დაეწყოს. დაგვიანებული ან ნაადრევი სქესობრივი მომწიფების პერიოდი დაკავშირებული არ არის სასქესო ჯირკვლების ფუნქციონირების მოშლილობასთან.

უფრო მგრძნობიარე გოგონები წუხან, როდესაც მენსტრუაცია უფრო ადრეულ ან უფრო გვიანდელ ასაკში ეწყებათ. ამგვარმა შეშფოთებამ გოგონა შეიძლება ნერვულ აშლილობამდე მიიყვანოს.

ვინც წინასწარ არაფერი იცის მენსტრუაციის შესახებ, შეიძლება მისი დაწყების შემდეგ ძლიერი წუხილი და შიში გაუჩნდეს, რამაც შემდგომში მენსტრუაციის ფსიქოგენური შეკავება გამოიწვიოს.

სქესობრივი მომწიფების დასაწყისში წინა პლანზეა ზრდის გამალებული ტემპი. თუ 7-8 წლის ასაკში გოგონა წელიწადში საშუალოდ სიმაღლეში 5-6 სმ-ით იზრდება, 9 წლის ასაკისათვის ეს ზრდა რამდენადმე ნელდება (საშუალოდ 3-3,5 სმ წელიწადში), მაგრამ 11 წლისათვის კვლავ ძლიერდება და შემდგომი 2 წლის განმავლობაში წელიწადში 7-8 სმ-ით იმატებს. შესაბამისად წონაში წლიურად 2,5-3,5 კგ-ით მატება ამ პერიოდში 4-9 კგ. აღწევს. წონისა და სიმაღლის ზრდასთან ერთად ძლიერდება მადა.



## სილამაზის გაკვეთილები

# საღამოს „ვარსკვლავი" რიგე

დაღლილი დღის შემდეგ, საღამოზე ხართ მიწვეული. სასწრაფოდ გჭირდებათ გალამაზება და განტვირთვა. მსახიობი ჯულია ბიდერმანი გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, თუ როგორ მიიპყროთ მამაკაცების ყურადღება და გახდეთ საღამოს „ვარსკვლავი".

**I ფაზა**

თქვენი გარეგნობა ბევრადაა დამოკიდებული სისუფთავეზე. პირველ რიგში მოიცილეთ კოსმეტიკა და გრიმი, მერე კი გაიკეთეთ მასაჟი. ამისთვის სპეციალური ჯაგრისით ამოიღეთ დასაბანი კრემი და სახე დაიმასაჟეთ. შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ და გადაისვით მკვებავი კრემი. კანი ვარდისფერი და ხავერდოვანი გაგიხდებათ.

**II ფაზა**

15 წუთით დაივიწყეთ ყველაფერი და გულალმა დაწექით. ეს სილამაზის ელექსირია, თანაც სახეზე მკვებავის სქელი ფენა დაიდეთ. მშრალი კანის შემთხვევაში კრემთან ერთად ვიტამინის შემცველი საშუალებაც გამოიყენეთ.

**III ფაზა**

მომჩვარული კანის პირველი ნიშანია სიმშრალის ნაოჭები. ამ შემთხვევაში ჯულია გვირჩევს ნაოჭების საწინაალმდეგო მკვებავ კრემს, რომელსაც გრიმის ქვეშ მომჭირნედ წაისვამთ თვალებთან და შუბლზე. შემდეგ გაიკეთებთ გრიმს.

**IV ფაზა**

თუ დეკოლტე კაბის ჩაცმას გადაწყვეტთ, გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ყელი ყურადღების ცენტრში მოექცევა. ყელის ნაოჭების დასაფარავად იხმარეთ სპეციალური ნიღაბი. იგი დაფარავს ყელზე არსებულ იმ ნიშანსაც, რომელიც მთელი დღის განმავლობაში გადატანილმა სტრესმა გამოიწვია. ყელის ნიღაბი სქლად შეიზილეთ და 10 წუთის განმავლობაში პირსახოცით დაიმასაჟეთ.

**V ფაზა**

დიდ შვებასა და ძალას შეგმატებთ ბიბილოების მასაჟი. იგი განაგრძეთ მანამ, სანამ ყურის მიდამოები არ შეგიხურდებათ. ეს პროცედურა შეიძლება აკუპუნქტურასაც შევადაროთ. აღნიშნული მასაჟი სტიმულატორია გადაღლილი ორგანიზმისთვის.

**VI ფაზა**

ყინულის რგოლების თვალებზე დადებით გაიქრობთ შეშუპებას და თვალებსაც ელვარება მიეცემა. კარგია, აგრეთვე, 5 წუთით დახუჭულ თვალებზე რგოლების დადება.

**VII ფაზა**

თმა ჯაგრისით დაივარცხნეთ. ეს პროცედურა თმის ძირების მასაჟიცაა და თანაც იოლად მოაცილებთ თმას ლაქსა და მტვერს.

# პერიოდი

თანდათანობით თვალში საცემი ხდება ქალის ორგანიზმისა და სქესისათვის დამახასიათებელი პირველადი და მეორადი სასქესო ნიშნები.

9 წლის ასაკის გოგონას ეზრდება მენჯისა და თეძოების ზომები. დაახლოებით 10 წლისას უდიდდება სარძევე ჯირკვლები და სხვა.

ყველა ამ ცვლილებას აგვირგვინებს მენსტრუაცია, რომელიც პირველი ერთი წლის განმავლობაში ჩამოუყალიბებელია როგორც რიტმულობის, ასევე სისხლდენის ხანგრძლივობის მხრივ. მენსტრუაციის დაწყების მომენტიდან (13 წლისათვის სიმაღლეში ზრდის ტემპი ნელდება და წელიწადში 1,5-დან 2,5 სმ-მდე მერყეობს. თანდათან, სქესობრივი მომწიფების დასასრულისათვის მენჯი მრგვალდება და საბოლოო ფორმას იღებს, ძვლები კი აღარ იზრდება.

გოგონების სქესობრივი მომწიფების დროს ზემოთ აღნიშნული ყველა ცვლილება შიდა სეკრეციის ჯირკვლების (ჰიპოფიზის, საკვერცხეების, თირკმელზედა ჯირკვლების) და ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების შედეგია.

ვაჟებს სქესობრივი მომწიფება დაახლოებით ორი წლით გვიან ეწყებათ, ვიდრე გოგონებს, ე. ი. არა უადრეს 11 წლის ასაკისა.

ვაჟების მაქსიმალური ზრდა შეინიშნება 14 წლის ასაკში. 13-15 წლამდე ისინი წელიწადში საშუალოდ სიმაღლეში 10 სმ-ს იმატებენ. ასევე სწრაფად იმატებენ წონაშიც.

10-11 წლის ასაკის ვაჟებს ეზრდებათ სასქესო ასო და სათესლე ჯირკვლები.

12-13 წლის ასაკის ვაჟებს ეზრდებათ ადამის ვაშლი, ჩნდება თმის საფარველი ბოქვენზე.

14-15 წლის ასაკის ვაჟებს ეწყებათ ულვაშის და წვერის ზრდა. ოდნავ ეზრდებათ მკერდის ჯირკვლები, ეცვლებათ ხმა. სქესობრივი მომწიფების საბოლოო ფაზაში — 16-18 წლის ასაკის ვაჟებისათვის მთავრდება სხეულის გათმიანება. სათესლე სითხეში ჩნდება მომწიფებული სპერმატოზოიდები, ხოლო სახის კანზე ჩნდება მუწუკები (ფერიმჭამელა).

სქესობრივი მომწიფების დროს ვაჟებს აღენიშნებათ მთელი რიგი პრობლემები, სხვადასხვა ფიზიოლოგიური გადახრა, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამ პერიოდის სრულად გათვითცნობიერებისათვის აუცილებელია აქსელერაციის ფენომენის ახსნა.

აქსელერაციაში (დაჩქარებაში) იგულისხმება ბავშვებისა და მოზარდების ზრდისა და განვითარების დაჩქარება, აგრეთვე მოზრდილების სხეულის გადიდება.

აქსელერაციის ფენომენი, რომელიც ბოლო ათწლეულების მანძილზე შეინიშნება, იმაში ვლინდება, რომ საშუალო სტატისტიკური მონაცემებით თანამედროვე ბავშვებს უკვე დაბადების მომენტიდან დიდი წონა აქვთ. შეინიშნება სარძევე და მუდმივი კბილების უფრო ადრეული ამოჭრა, აღინიშნება ადრეული სქესობრივი მომწიფება.

ფსიქიკური განვითარების აქსელერაციის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ბავშვების ფსიქიკა ჩამორჩება მათ ფიზიკურ განვითარებას.

აქსელერაციის საერთო მნიშვნელობის შეფასების დროს ზოგიერთი ავტორი ასკვნის, რომ აქსელერაციას არცთუ იშვიათად ახლავს ცალკეული ფუნქციების განვითარების დისჰარმონია და მათი შესაძლებლობების დაქვეითება, ენდოკრინული დარღვევები, ქრონიკული ტონზილიტი, ნერვული მოშლილობები, კბილების კარიესი, მაღალი არტერიული წნევა, აგრეთვე ფსიქოლოგიური და სოციალური კონფლიქტების უფრო მძაფრი მიმდინარეობა.

**მერაბ ნებიერიძე**
ექიმი-სექსოლოგი



## მახდეთ













**VIII ფაზა**

კანის მოვლის პროცედურა დასრულებულია, ახლა დახატვის დროა — პუდრი, პომადა, ტუში და თქვენ ვერავინ შეგედრებათ.

ჟურნალ „ფრაუ აქტუელლიდან"
თარგმნა **ირინა ცინცაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინა დივნოგორცევა-გრიგოლია

# გლოვის წიგნიდან



## ეძღვნება ლადო გრიგოლიას

* * *

შენს დიდ ოთახში სიჩუმეა, სიცარიელე... სევდამ მომიცვა და გამთანგა ამ სიმყუდროვემ. მიჯაჭვული ვარ სულით ყველაფერს, რასაც სიცოცხლეს ვუწოდებდი ამ დიდ ოთახში...

* * *

ჩამოიქცა კედელი ჩემს ცარიელ სახლში და დამკვიდრდა წყვდიადი, ყინულივით ცივი... მე აღარ ვიცი რა მოხდა შემდეგ, რა მოხდა შემდეგ, რა მოხდა შემდეგ... ფრთამოტეხილი ვწევარ მდუმარედ, თვალდახუჭული, დაბრმავებული... ჩემო სიყვარულო, ჩემო სიყვარულო...



* * *

ვაი, დავბრმავდი, ო, რამდენი ცრემლი მიღვრია! გთხოვ, დამასვენო, მწუხარებავ, მორჩი, გათავდი!

* * *

ამ დარჩენილ დღეებს, ბედს რომ დაუთვლია, შენ გაგიყოფდი და ერთად ვიქნებოდით, მაშინ ხომ ყველაფერი რიგზე იქნებოდა... ახლა კი... ახლა, ჩემო ძვირფასო, მე მეხარბება იმ მოხუცების, გზაზე ერთად რომ მიაბიჯებენ გულისმიერი ნაბიჯებით...

ამ ნაოჭს ღაწვზე სევდა დამალავს... მაგონდები და... პურზე — ცრემლები!

* * *

შენ იყავ ერთი, ვინც მე მიყვარდა. მაგრამ, იცოდი ეს შენ თუ არა, ან მე ვიცოდი?

* * *

სანამ შენ იყავ, აზრი ჰქონდა სიცოცხლეს და მშვენიერებას... ყოველი წიგნი შემოდიოდა ჩვენს სახლში, როგორც დღესასწაული. ყოველი გვერდი, სულ მცირე რამ გულით გვალხენდა. ო, რა ძნელია, მხოლოდ ჩემთვის იგი ვაკეთო, იგი, რაც შენთვის ვერ მოვასწარი...

* * *

გუშინ მითხარი შენ, ნაღვლიანმა: — რას იზამ, როცა აღარ ვიქნები. იყო ის „გუშინ", თუ არ ყოფილა, არა, არ ვიცი... ო, როგორ ბნელა. ო, როგორ ბნელა, მას შემდეგ როგორ... ვერ შევაჩერე წყეული დრ.ო, ველარ შევძელი...



* * *

მე ისევ, ისევ ვცოცხლობ ლომის თანავარსკვლავედში... ისევ შენი სიკეთით და სითბოთი გამთბარი... თავზე დამნათის შენი გენია — ო, ის ვარსკვლავი, მე რომ ვეკუთვნი სამარადჟამოდ...

* * *

როცა შენი მეგობრების ეს ვიწრო წრე მეჩხერდება, გული მწყდება და ვქვითინებ უფრო მეტად... მგონია, რომ ყველა მათგანს, ახლადწასულ მეგობარს, თან მიაქვს უკანდაუბრუნებლად შენი ცხოვრების ერთი წახნაგი, შენი ღიმილი, შენი სახის ერთ-ერთი ნაკვთი... ასე მძარცვავენ და ვღარიბდები...

თარგმნა სოსო ჩოჩიაშ

---

გიორგი წერეთელი

# შენ ქართულ ლექსში დაგრჩა სახელი

40 წელი მწერლების ჯანმრთელობის სამსახურში მყოფ ნათელა ცხომელიძეს

შენა ხარ ჩვენი სიცოცხლის მცველი,
ნათელა, ნათლად გარდასახული,
თავს გვევლებოდი ორმოცი წელი,
მუზის მსახურთა მართლა მსახური.

სულს გვიურვებდი, რომ არ ეჭირვა
ქართული მუზის უღელში შებმულს,
შენ ჩვენი მაჯა ხელში გეჭირა,
ორმოცი წელი უსმენდი ჩვენ გულს.

სიკეთეს გიხდით ლექსის ღალათი,
სხვა მზეს არ თხოვდი სულმზეს,
ბაგესხივს...
ორმოც წელს გეცვა თეთრი ხალათი
პირველ თოვლივით უსპეტაკესი.

შენ ძალა გქონდა ღმერთის და ხატის,
კალმის კაც[illegible]ი გყავს ძმობილები...
ცას მომწყდ[illegible]რ მგოსნებს როცა
ნახავდი,
ფეხზე დგებოდნენ დავრდომილები.
ბევრი ნათელა ჩაგვწვდა გულამდის
მაგრამ შენ სულ სხვა გქონდა ნათება,
მტკივან გულს ვისაც განუკურნავდი
შენს გულში სურდა მოკალათება.

სადაც მედეას სიბრძნის ბრძმედია,
ბევრი სიახლის ხარ ჩამსახველი,
შენ გრძნეული ხარ, როგორც მინდია,
იმიტომ ლექსშიც დაგრჩა სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ნახატი მოთხრობები ანუ სევდიანი თავგადასავლები



სადამოს სიმღერა



ბულვარის საღამო



უბნის კატა ფელიქსა

კინოს სახლის მომცრო დარბაზში ერთი პატარა, ლამაზი გამოფენა მოეწყო. ნახატების ავტორი თვითნასწავლი მხატვარი ნინო ბაქრაძე გახლავთ, პროფესიით ექიმი.

მხატვრობაში არის მიმდინარეობა — პრიმიტივიზმი, როცა შესრულების მანერა შეგნებულადაა გაუბრალოებული. ნინოს ფერწერული შემოქმედება ერთი შეხედვით პრიმიტიულია და ამ პრიმიტიულობით თავისებურად რთულიც. მისი თითოეული ნახატი აქტიურ ჭვრეტას ითხოვს, სურვილი გვიჩნდება, დიდხანს ვუყუროთ მყარად და მკაფიოდ აგებულ კომპოზიციებს და ვფიქრობთ ამ უცნაურ პერსონაჟებზე, ნახატებიდან სევდიანი ღიმილით რომ გვიცქერენ.

ნინო ბაქრაძის გმირების უცნაური სამყარო ძალზე მიმზიდველად გამოიყურება; გრძნობ, ისინი არაჩვეულებრივი და კეთილი ადამიანები არიან და ძალზე საინტერესო თავგადასავლები გადახდენიათ თავს.

აი, ნახატი „ჩვენ შეყვარებულები ვართ", — ერთმანეთს ჩახუტებიან ფართე მკვრივსახიანი ცოლ-ქმარი. სიყვარულიან ცხოვრებას ისინი ერთმანეთისათვის დაუმსგავსებია. გვიყურებენ ტკბილ-ნაღვლიანი ღიმილით. მსუყე ფერები ისე ბუნებრივი უბრალოებით არის შერწყმული, რომ მნახველსაც მშვენიერი და ოდნავ სევდიანი განწყობილება ეუფლება.

„სამი შინაბერა და", — უხერხული ღიმილით გადმოგვყურებენ გაუთხოვარი დები. ჭალარით შემოსილი თავები ერთმანეთისათვის მიუყრდნიათ; თითქოს გებოდიშებიან — ზედმეტები ხომ არ ვართ, ხომ არ გაწუხებთო. იქვე ქალალი კატა ჩაცუცქულა — ერთადერთი მათი სიხარული.

„ცუცა და მისი საყვარელი პანტელეიმონი", — კეთილი, რუსული შესახედაობის მოხუცი ქალი და ლამაზი კატა... ამ ნახატის პერსონაჟს თავისი ისტორია აქვს. ნინომ გვიამბო. აი, ეს ცუცა, ოდესღაც ზინაიდა ყოფილა, იგი ერთ ქართველს რუსეთის ბაზარში გაუცვნია, მოსწონებია და ბაზრიდან პირდაპირ საქართველოში წამოუყვანია. იმ ზინაიდას ქმარიც ჰყოლია, მაგრამ აბა, რას გააწყობ სიყვარულით ატაცებულ ჩვენებურთან. რძალი ოჯახში არ მიუღიათ, რას იზამდნენ, უქირავებიათ შინა და პატარა ქოხში გაუტარებიათ თავიანთი წუთისოფელი. შეძენიათ ხუთი შვილი. საინტერესო ის არის, რომ იმ ზინაიდას ანუ ცუცას (ქმარმა ხელმეორედ მონათლა), იქაური ქმარი ჩამოსდიოდა ხოლმე სანახავად. წაიყვანდა ეს ჩვენი ქართველი იმ რუსს, კარგად გამოათრობდა და ხვევნაკოცნით გაუშვებდა უკან... რა გინდა, რა ქართული კერძი, ცუცას რომ არ შეესწავლა, ერთი სიტყვით „საქვარელი კალი" გამხდარა. ახლა ზის თავის ფისოსთან და გვეკითხება, — რა ვქნა, ნეტა, ცუდად ხო არ მიცხოვრიაო.

„დედა აცილებს შვილს ქალაქში", „ქლალი კატის ძნელი სიყვარული", „ავადმყოფი ლეკვი"... — ყველა ნახატი თავისი ისტორიით წარმოგვიდგება, ცხოველებიც კი ჭკვიანი თვალებით თავიანთ თავგადასავალს გვიყვებიან.

ნახატი-მოთხრობები — ასე შევარქვი ნინოს შემოქმედებას.

* * *

ნინო ბაქრაძემ გამოფენის გახსნისას თქვა; ყველას რომ ჩემისთანა დედა ჰყავდეს, ალბათ ყველა შემოქმედი იქნებოდაო.

ძალიან სჯერა ოჯახის წევრებს ნინოსი, ორივე ვაჟი — ლევიკო და სანდრო არც მეტი, არც ნაკლები, დედით აღფრთოვანებულები არიან. ან რატომაც არ უნდა იყვნენ: რაღა არ ეხერხება მათ დედიკოს, პროფესიით ექიმია, კარგი მკურნალი. უპირველესად კი კარგი მხატვარია.

**მარინე სულხანიშვილი**



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბედნიერი ვარ სამშობლოში რომ ვმუშაობ“

მარინა ცხონდია-აქსელი თბილისელია. დაამთავრა პირველი ექსპერიმენტული სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მუშაობდა ფსიქოლოგად რკინიგზის საავადმყოფოში, კვალიფიკაციაზე იყო მოსკოვში, თანაც ამერიკელ ბიძას ვლადიმერ ცხონდიას ბიზნესის საქმეებში ეხმარებოდა. მასთან გაიცნო შვედი ბიზნესმენი, ფირმა „სანდვიკის“ ვიცე-პრეზიდენტი ულოვ აქსელი, რომელმაც შესთავაზა თავისი ფირმის წარმომადგენლობაში მუშაობა. მათ მოეწონათ ერთმანეთი და დაქორწინდნენ.



**— ქნო მარინა, გვიამბეთ ცოტა რამ თქვენს შესახებ.**

— დედის დედა ირლანდიელი მყავდა — კატრინ ვოლში, დედაჩემი ფრანსინა ჯორბენაძე, ცოლად გაჰყვა პარიზელ ქართველს იურა ცხონდიას და 1951 წელს ახალდაქორწინებულები რამდენიმე დღით ეწვივნენ საქართველოს. იმ განუკითხაობის ჟამს, სრულიად უსაფუძვლოდ ისინი დააპატიმრეს და გადაასახლეს შუა აზიაში. იქ დავბადებულვარ მეც. ჩვენი ოჯახი დაღუპვისაგან იხსნა მამის სპეციალობამ — იგი გინეკოლოგად მუშაობდა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ დავბრუნდით საქართველოში. როგორც კი საშუალება მოგვეცა, მე და დედა ჩავედით პარიზში ამერიკაში გარდაცვლილი ბაბუის, დიმო ცხონდიას საფლავის სანახავად, რომელსაც შეუსრულეს სურვილი და ლევილის სასაფლაოზე დაკრძალეს. გარდამეცვალა ირლანდიელი ბებიაც, რომელიც ქალიშვილთან და სიძესთან საბედისწერო განშორების შემდეგ დაბრუნდა ირლანდიაში და მარტოობა იქ გაატარა. იგი 95 წლისა იყო, მისი ერთადერთი მემკვიდრე მე ვიყავი და გარდაცვალებამდე მოვინახულე. მას მზრუნველობას არ აკლებდა კათოლიკური ეკლესია. მეორედ მომიხდა ჩასვლა ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში ბებიის დაკრძალვაზე. მთელი მისი ქონება ეკლესიას შევწირე, რისთვისაც ირლანდიის მოქალაქეობა მომანიჭეს.

თავისუფლად ვფლობ ოთხ უცხო ენას — ფრანგულს, ინგლისურს, ირლანდიურს და შვედურს, რაც დიდად მეხმარება საქმიანობაში.

**— როგორ აეწყო თქვენი ცხოვრება შვეციაში?**

— მე შევხვდი არაჩვეულებრივ ადამიანს, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რა მასიამოვნოს. ულოვმა იშვილა ჩემი ვაჟი პირველი ქორწინებიდან და მისცა თავისი გვარი. ნიკა 10 წლის იყო, რომ გავთხოვდი... ახლა იგი ოცი წლისაა და მამა მას ბიზნესმენობისთვის ამზადებს — სასწავლებლად ჯერ ინგლისის სკოლაში მიაბარა, მერე კოლეჯში. ახლა ნიკა სტოკჰოლმის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტია.

მეუღლემ რომ შემატყო სამშობლოზე ვდარდობდი, საშუალება მომცა მემოგზაურა მსოფლიოს გარშემო. ახლა კი გამახსნევინა ფირმა თბილისში და როგორც ხედავთ, აქა ვარ.

**— ფირმა, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, თანდათან ძლიერდება და ავტორიტეტს იხვეჭს. ჩანს, კარგად ართმევთ საქმეს თავს. როგორც ქალს, ხომ არ გიჭირთ ბიზნესმენობა?**

— არა. მე დიდი სკოლა გავიარე მოსკოვში ბიზნესმენებთან მუშაობით.

თბილისში გახსნილი შვეიცარიის ფირმა „ზული ტრეიდინგ კორპორეიშენი“, რომლის პრეზიდენტიც ვარ, შუამავლის როლს ასრულებს, ერთმანეთთან აკავშირებს ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებს. ფირმას კავშირი აქვს აშშ-სთან, გერმანიასთან, საფრანგეთთან, იტალიასთან, ავსტრალიასთან. საქართველოში ფოთის გზით ავსტრალიიდან შემოგვაქვს მარგანეცი, მას ამუშავებს ზესტაფონის ფერო და მიღებული სილიკო-მანგანუმი გაგვაქვს აშშ-ში. მის ნაცვლად შემოგვაქვს ფქვილი, კარაქი, შაქარი, ზეთი, მაკარონი იტალიიდან და თურქეთიდან.

ბელგიაში ბატონ ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის დროს შედგა წინასწარი მოლაპარაკება იქაურ ტრანსპორტის სამინისტროსთან, საიდანაც სულ მალე ჩამოვიდა ბატონი კორნელი გერტსი კონტრაქტის გასაფორმებლად. მისი სატრანსპორტო ფირმა მოგვაწვდის ჩვენთვის საჭირო ტრაილერებს.

იაპონიის ფირმის „ნისანის“ მეშვეობით ვყიდით იაპონურ მანქანებს „ნისან პატრულს“ კერძო პირებსა და დაწესებულებებზე.

**— თქვენი საქმიანობა ისე გაიშალა, რომ ადვილად ვერ ტოვებთ თბილისს. ალბათ, მშობლებსაც ვერ ელევით?**

— ჩემს საყვარელ ქალაქში უფრო მეტად საქმე მაჩერებს. დედა, ფრანსინა ჯორბენაძე 42 წელია თბილისში ცხოვრობს და არც პარიზი უნდა და არც შვეცია. იგი თბილისის უნივერსიტეტის პროფესორია, ფრანგული ენის კათედრაზე მუშაობს.

მამა რამდენიმე წლის წინ დამეღუპა. იგი სოხუმის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი იყო და ეშერაში, თავის ეზოში მოკლეს არაკაცებმა,

აქედან სტოკჰოლმში ჩასვლა სულაც არაა ძნელი. თვითმფრინავს ხუთსაათნახევარში ჩავყავარ.

**— ჩემზე უკეთ გეცოდინებათ, უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა უმე-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ტესობას ნოსტალგია აწუხებს. თქვენთვისაც ხომ არ არის ნაცნობი ეს გრძნობა?**

— გათხოვების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ძნელია ემიგრანტობა, განსაკუთრებით ზოგიერთი ქართველისათვის, რომელსაც არაფრად მიაჩნია შეძენილი სიმდიდრე და საქართველოში დაბრუნება ურჩევნია დაგროვილ მილიონებს. მამაჩემის ძმამ, ვლადიმერ ცხონდიამ, რომელიც ამერიკაში ცხოვრობდა და არაფერი აკლდა, თავი მოიკლა.

მე დავრწმუნდი, რომ უზრუნველი ცხოვრება სიცოცხლეს უშიზნოს ხდის, პრობლემები და წინააღმდეგობები კი ცხოვრებას შინაარსს მატებს.

**— ქალბატონო მარინა, ვიცი, რომ სტოკჰოლმში არის ქართველთა სათვისტომო, რომლის ყურადღება მთლიანად საქართველოსკენაა მოპყრობილი. რას გვეტყოდით იქაურ თანამემამულეებზე?**

— მე ამ სათვისტომოს ვიცე-პრეზიდენტი გახლავართ. პრეზიდენტი გახლავთ გენო ხარებავა, რომელიც 15 წელია სტოკჰოლმშია. სათვისტომოს წევრები არიან: თინა აქინი-სინოპელი ქართველი, მალხაზ მიქაძე, კოტე კაიშაური, გოგა აქინი-თევზაძე, მზია ელიზბარაშვილი. მე, თინა და მალხაზი სტოკჰოლმში ერთ ქუჩაზე ვცხოვრობთ, რომელსაც ხუმრობით „მალაია გრუზინსკაია" შევარქვით. სათვისტომო აწყობს საინტერესო შეხვედრებს, ქართულ წერა-კითხვას ასწავლის ბავშვებს, სურსათით და ტანსაცმლით ეხმარება სტიქიისაგან დაზარალებულ ქართველებს, სწორ ინფორმაციას ავრცელებს საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე.

ერთხელ სტოკჰოლმის ტელევიზიამ ფაქტი დაამახინჯა, სამხრეთ ოსეთი ჩრდილო ოსეთის ნაწილად ჩათვალა. პროტესტით მივედი მათთან, მივიტანე ენციკლოპედია და დავარწმუნე, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოს ძირძველი მიწაა.

**— ქალბატონო მარინა, ამბობენ, ქალი შვეციაში ლაღად ცხოვრობს — მუშაობს, ოჯახსაც უვლის და ლამაზადაც გამოიყურებაო. როგორ ახერხებთ ამას?**

— შვეციაში ქალის კულტია. ქმრები ცოლებს ხელის გულზე ატარებენ.

ცხოვრება ისეა აწყობილი, რომ ქალს საკმაო დრო რჩება თავის თავისთვის. ნეტა ქართველ ქალსაც მალე შეექმნას ასეთი პირობები!

ესაუბრა **ლია კაკაბაძე**

## მემუარები

# დედის გზაზე



ჩემი ცხოვრების გზაზე რომ ვფიქრობ, უპირველესად ბავშვობა მახსენდება.

ვცხოვრობდით ოზურგეთის შუაგულში, ორსართულიან ცისფერ სახლში.

მამაჩემი ვლადიმერ მგელაძე, ყოველმხრივ განათლებული კაცი იყო, ამასთან — მეტად დაუზარელი. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარია, მუშაობდა ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზიაში, ნასაკირალის სამკურნალო წყლების პირველი დირექტორი გახლდათ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც დიდ დროს უთმობდა.

დედა — საფო მგელაძე (გიგინეიშვილი) იმ დროისათვის ცნობილი მწერალი იყო — მის ლექსებსა და რომანებს დიდი გატაცებითა და სიყვარულით კითხულობდნენ ახალგაზრდები. დედა ძალზე ბევრს მუშაობდა. ვცდილობდით, არ შეგვეწუხებინა და ამიტომაც უმეტესად მამიდასთან მიხდებოდა ყოფნა.

ნაკითხი ქალი იყო მამიდაჩემი. მიამბობდა ზღაპრებს, მასწავლიდა ნაწყვეტებს „ვეფხისტყაოსნიდან", „თამარიანიდან". კარგად იცოდა ილია, აკაკი, ვაჟა. მათ ლექსებს გიტარაზე ამღერებდა და მეც მამღერებდა ხოლმე.

ხომ კარგი იყო ოზურგეთში, მამიდასთან — კიდევ უკეთესი, მაგრამ ყველაფერს მაინც ნასაკირალში ყოფნა მერჩია — ჩვენს დიდსა და ლამაზ სახლში, ხეხილით სავსე ეზოში რომ იყო ჩამყუდროებული. მთელ დღეებს ეზოში ვატარებდი, დედა კი თავის ოთახში იჯდა და წერდა. თინა მამიდა ხშირად მაფრთხილებდა: დედას ნუ შეაწუხებ, ლექსებს წერსო. ნეტავი ლექსი როგორ იწერება-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის. ძალიან მიხაროდა სტუმრიანობა. მაშინ დედა წერას თავს ანებებდა და მეც განუშორებლად მასთან ვიყავი.

სტუმრად მოდიოდნენ მაშინდელი ინტელიგენციის წარმომადგენლები. ჩვენი ოჯახის უახლოესი მეგობრები იყვნენ ძმები ნიკო და ექვთიმე თაყაიშვილები. ბატონ ექვთიმეს შვილები არ ჰყავდა და ძმისშვილებით (ბატონ ნიკოს ხუთი ულამაზესი ქალ-ვაჟით) სულდგმულობდა. ბუნდოვნად ისიც მახსოვს, როგორ დამისვა ერთხელ ბატონმა ექვთიმემ მუხლზე ოთხიოდე წლის კულულებიანი გოგონა და სიმღერა მასწავლა: „სამშობლოვ, სამშობლოვ, ჩემო ლამაზო"... მაშინ არაფერი მესმოდა ამ სიმღერისა, დღეს კი ჩემთვის ნათელია, როგორ აწუხებდა სამშობლოს იძულებით დატოვება ბატონ ექვთიმეს. ეს სიმღერა დღესაც ძველებურად ჟღერს საქართველოში და მისი მოსმენისას მუდამ მახსენდება უკეთილშობილესი ადამიანი ექვთიმე თაყაიშვილი. ოჯახის უახლოესი მეგობარი იყო ცნობილი რეჟისორი, მაშინ ახალგაზრდა კაცი სიკო დოლიძე. მთელი ჩემი ბავშვობა მათ ოჯახთან ერთად მაქვს გატარებული ბახმაროზე, სადაც ჩვენი სახლები ერთმანეთის გვერდზე იდგა. სიკო დოლიძეს კარგად აქვს აღწერილი ჩვენი ოჯახი თავის მოგონებების წიგნში.

ჩვენთან სტუმრობდნენ ტელემაკ გურიელი, მისი ლამაზი ქალიშვილი იუნონა, ივანე გომართელი, კოწია ერისთავი, ნინო და ილია ნაკაშიძეები, ავქსენტი და ლიდია მეგრელიძეები. მომისმენია ქალბატონ ლიდიასი და ბატონ ავქსენტის დუეტი ჩონგურზე. ასეთი ხალხის სტუმრობა დიდ გავლენას ახდენდა ჩემზე, დედას ხშირად ათქმევინებდნენ ლექსებს, მღეროდნენ, კამათობდნენ პოეზიაზე და სხვა საინტერესო საკითხებზე. ყველაფერმა ამან ჩემს ბავშვურ გონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში დაისადგურა და რაღაც განსაკუთრებული ფიქრით შემმოსა. ერთ დღეს თამაშით დაღლილი დედასთან შევედი. იგი ჩვეულებრივ წერდა, მე კი მასთან ყოფნა მინდოდა, დედამ ეს ამბავი ლექსად დაწერა (გთავაზობთ შემოკლებით): „უცებ შემოხველ ჩემთან და ამბობ: დავიღალე, ნუ მიშლი, ჩემო გოგო, საქმე მაქვს, გენაცვალე. მე შენთან მინდა, დედა, ამბობ და მიალერსებ. მე შენოდენა ვწერდი პატარ-პატარა ლექსებს. სადღაცა გაქრა ბავშვი, ისევ დავიწყე წერა, შემორბის, მაძლევს ქაღალდს, ვკითხულობ და არ მჯერა, შემომაბრუნა მისკენ ამ გაოცებამ დიდმა, ორი პატარა ლექსი, ორი ლამაზი რითმა, ეს მე დავწერე, დედა, კარგია? მითხარ მალე. კარგია, ჩემო ბავშვო, კარგია, გენაცვალე. სულში სინათლე ჩადგა, გულმა უმატა მგერას, ვკითხულობ მე შენს ნაწერს, ვკითხულობ და არ მჯერა. მზემ სითბო ველარ ზიდა, სხივს საივლისოდ ლესავს, კვლავ პეპლებს გაეკიდა პატარა პოეტესა“. მოკლედ რომ ვთქვა, იმ დღიდან დავიწყე ლექსების წერა. დედა ყოველთვის მიწონებდა და სტუმრებთანაც მათქმევინებდა ხოლმე.

ასეთი ბედნიერი ბავშვობის შემდეგ ბევრი უსიამოვნო ამბავი გადაგვხვდა თავს. მაშინ დაშვებულმა შეცდომებმა, შეიძლება ითქვას, ჩვენი ოჯახი გააცამტვერა. მამაჩემი კულაკად მონათლეს, ჩამოართვეს უძრავ-მოძრავი ქონება, სახლი, საქონელი, მიწები და, როგორც იტყვიან, ერთი ჩემოდნით ჩამოვედით თბილისში, სადაც მწერალმა ქალმა — კატო მიქელაძემ თავის ბინაში შეგვიფარა და ათეული წლების განმავლობაში ყურადღებას არ გვაკლებდა. დედაჩემს ბატონმა აკაკი შანიძემ უნივერსიტეტში, ლექსიკოლოგიის კაბინეტში დააწყებინა მუშაობა.

კატო მიქელაძის ბინა, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, მდებარეობდა რუსთაველის თეატრის გვერდით. ამ ეზოიან, გრძელ აივნიან სახლში ცხოვრობდნენ სხვადასხვა ოჯახები. დილით თუ საღამოთი ყველანი ამ აივანზე ვხვდებოდით ერთმანეთს. ჩვენი კარის მეზობლები იყვნენ ოპერის მომღერალი გრიგოლ ვენაძე (სანდრო ინაშვილის ძმა), ბატონი კალისტრატე კობახიძე თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით: მისი მეუღლე ქალბატონი იუსტინე, შვილები: ტიტიკო, პაჭუ, ლუბა, პიერი, პაატა, ნიკუშა. ყველა მათგანი თანამდებობის პირი იყო. დღეს არც ერთი ცოცხალი აღარ არის. იმ დროს პიერ კობახიძესთან მთელი რუსთაველის თეატრი იყრიდა თავს, ჩვენთან კიდევ მწერლები მოდიოდნენ და ეს აივანი ხელოვანთა საკრებულოს გავდა. აქ გავიცანი სესილია თაყაიშვილი, ვასო გოძიაშვილი, სანდრო ახმეტელი და მრავალი სხვა სათაყვანო ადამიანი. ამ გარემომაც გამიღვიძა სურვილი მეც გამეკეთებინა ცხოვრებაში რაღაც სასარგებლო საქმე.

ვსწავლობდი მე-14 შრომის სკოლაში. სკოლის დირექტორი იყო მამაჩემის ყოფილი მოწაფე, პროფესორი ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, რომელიც შეხვედრისას მეუბნებოდა: შენ რომ გასწავლი, ასე მგონია, მამაშენის ამაგს ვიხდიო. ჩვენ გვასწავლიდნენ დავით ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ვარლამ გელოვანი, ნუცა დგებუაძე, დავით ჯალაღანია და სხვები. სკოლის არცერთი ლიტერატურული საღამო არ გამომიტოვებია, საკუთარი ლექსი რომ არ წამეკითხა. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში შევედი — დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ფაკულტეტზე, სადაც მასწავლიდნენ: შალვა ნუცუბიძე, სიმონ ჯანაშია, გიორგი ახვლედიანი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ და ალექსი წერეთლები, ვახტანგ კოტეტიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, შალვა ამირანაშვილი და სხვები.

დღე დღეს მისდევდა და ჩემი ლექსებიც იხვეწებოდა. 13 წლის ვიყავი, როცა პირველი ლექსი ჟურნალ „ოქტომბრელში“ დაიბეჭდა. დედას უხაროდა, მაგრამ თან სწუხდა: შენ კარგ ლექსებს წერ, მაგრამ გზა, რომელიც მე განვვლე, ისეთი ძნელია, გაგიჭირდება ამ გზებზე სიარული, თუმცა კი მინდოდა, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს შვილს განეგრძო ჩემი გზაო.

1936 წელს გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა საფო მგელაძე. დედის სიკვდილი ჩემთვის მეხის გავარდნას გავდა. დავანებე თავი ყველაფერს, გავხდი უიმედო, ზულჩათხრობილი. მწერალთა კავშირში აღარ მინდოდა მისვლა. დედაზე ფიქრი წუთითაც არ მტოვებდა და წარმოიდგინეთ, რომ დღესაც დედაზე მოგონებებით ვცხოვრობ. მის ჩანაწერებში, სადაც ჩანს მისი მებრძოლი სული, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და დღევანდელობა, ცოცხალ დედას ვხედავ. ჩემს აღმაფრენას თურმე დედა ასხამდა ფრთებს...

ერთ დღეს მაჩაბლის ქუჩის დასაწყისში, გიორგი ნატროშვილს და გალაკტიონ ტაბიძეს შევხვდი. შემამჩნიეს, შუაში ჩამიყენეს, კითხვები დამაყარეს: „სადა ხარ, როგორა ხარ? რატომ საღამოებზე არ დადიხარო?“. გალაკტიონმა ხელი მაღლა ასწია და ასე მომმართა:

**„საფოს აჩრდილი მე დამდევს სულთან, მსურს ვისაუბრო საფოს ასულთან, იარე დედის გაკვალული გზით, არა წამებით, გაბედული თქმით, გაზაფხულის მზით, ანგელოზის ფრთით, ვის სულშიც მუდამ ჩქეფდა რიონი, შენ ამას გირჩევს გალაკტიონი“...**

ამ დროს მწერალთა ჯგუფმა ჩამოიარა და გალაკტიონიც თან წაიყვანეს, გიორგი კი მეუბნებოდა: — შენ იცი, რა გითხრა ამ კაცმა?! იცი, ვინ არის გალაკტიონი? არ დაივიწყო ეს სტრიქონები. სახლში რომ მიხვალ, საჩქაროდ ჩაიწერე, მეც დავწერ, იგი ასეთ სიტყვებს ყველას არ ეტყვის. მართალი გითხრათ, მე მაშინ ამაზე არ მიფიქრია და თუ დღეს ამ ექსპრომტს ვაქვეყნებ, ჩემი გულშემატკივრის — გიორგი ნატროშვილის დამსახურებაა.

დრო გადიოდა. მე ვდუმდი, ვიღაცამ ისიც კი თქვა, მაგას დედამისი უწერდა ლექსებს და ახლა რაღას დაწერსო. ვფიქრობ, იმ ვიღაცამ უნებლიეთ ჩემთვის კარგი გააკეთა,— ცილისწამებამ გამომაფხიზლა და გადავწყვიტე ლექსს მივბრუნებოდი. თუმცაღა უქმად არასდროს ვყოფილვარ. ლექსები მეწერებოდა იმ დროსაც კი, როდესაც სადილს ვამზადებდი, შვილებს ვუვლიდი, შემდეგ ქაღალდზე გადამქონდა. სამი ბავშვის პატრონმა საბავშვო ლექსების წერა დავიწყე, დედის სიტყვებით რომ ვთქვა, მე დავდექი მართლაც ძნელ გზაზე. თან მდევდა დედის ანდერძის ასრულების დიდი სურვილი. იმ წელს სოხუმში წავედი, სადაც ჩემი და — პროფესორი ნინო მგელაძე ცხოვრობს. მან მირჩია ლექსები გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ მიმეტანა, ასეც მოვიქეცი და ამდენი ხნის სიჩუმის შემდეგ ჩემი ლექსები იქ დაიბეჭდა. თბილისში დაბრუნებულმა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციას მივაშურე. რედაქტორი გახლდათ ქალბატონი თეო აბაშმაძე, ქალი შემკული ყოველგვარი სიკეთით. მოიწონა ჩემი ლექსები და ხშირად მიბეჭდავდა კიდეც... მიბეჭდავდნენ საბავშვო ჟურნალებშიც და თანამშრომლობაც შემომთავაზეს. ამან მომცა სტიმული განმეგრძო ლიტერატურული მუშაობა. საჭირო იყო წიგნების გამოცემა, მაგრამ ბრძოლა ორ ფრონტზე მიხდებოდა: ერთი — დედის სახელისათვის, მეორე კი — ჩემი შემოქმედების გამოსამზეურებლად. უპირატესობას ყოველთვის დედას ვუთმობდი.

ჩემი პირველი ლექსების კრებული გამომცემლობა „განათლებაში“ მივიტანე, რომლის დირექტორი გახლდათ პოეტი ალექსანდრე გომიაშვილი. წიგნი უკვე მომზადებული იყო გამოსაცემად, მაგრამ მოვიდა ახალი დირექტორი და უარი გამომიცხადა, აქ მხოლოდ სახელმძღვანელოები გამოდის, თქვენ კი „ნაკადულში“ მიბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძანდითო. წიგნი წავიღე „ნაკადულში“, მისმა დირექტორმა კ. ლორთქიფანიძემ, — საფოს ქალიშვილს ცუდი ლექსები არ ექნებაო, და — წიგნიც მალე გამოსცა. შემდეგ ყველაფერი კვლავ გაძნელდა. გამომცემლობაში ჩემს წიგნებს უარყოფით რეცენზიებს უწერდნენ, სურდათ თავიდან მოეშორებინათ „აბეზარი“ ავტორი. და მეც დედაჩემივით დავდიოდი ამ ტანჯვის გზაზე. ერთ საღამოს დიდ მხატვარს, ჩემს გულშემატკივარს — ბატონ ლადო გუდიაშვილს მოვუყევი ჩემი ამბავი, მან მირჩია, ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ალექსანდრე ჩიკვაიძესთან გაგატან წერილს, ყურადღებას მოგაქცევსო.

ბატონმა ლადომ გადმომცა წერილი, მაგრამ ის წერილი წასაღებად ვერ გავიმეტე და დღესაც რელიქვიად ინახება ჩემს ოჯახში, მე კი უწერილოდ მივედი კომიტეტში. მოსაცდელი მამაკაცებით იყო სავსე, მეც რიგი დავიჭირე და ფიქრებში წავედი.

კაბინეტიდან მაღალმა, ევროპული გარეგნობის კაცმა გამოიხედა. ეს ალექსანდრე ჩიკვაიძე გახლდათ. ეტყობა შემატყო უხერხულობა და მამაკაცებს მიმართა, — თქვენს შორის ერთი ქალბატონია და უნდა მივიღოო. ყველაფერი ვუამბე, თან ჩემი ლექსების კრებული გავუწოდე. მისი დახმარებით მოვიგე კიდევ ერთი ბრძოლა — მოხერხდა წიგნის გამოცემა.

გაძნელდა საბავშვო ლექსების კრებულის გამოცემაც. თქვენს ლექსებზე ორჯერ უარყოფითი რეცენზია დაიწერა და უკან გიბრუნებთო, — შემომითვალეს „ნაკადულიდან“. ეს წიგნი მაინც გამოიცა „განათლებაში“, კეთილი ადამიანების დახმარებით, თანაც სულ მალე პრესის ფურცლებზე იგი საუკეთესო საბავშვო წიგნად იქნა აღიარებული...

რა მინდა ვთქვა? ამ ძნელ გზაზე მრავალი ცუდი ადამიანი შემხვდა, რომელთა სახელის ხსენებაც არ მინდა, მაგრამ ამავე დროს მხვდებოდნენ კარგებიც. ვინ იყვნენ ეს კარგები? ბევრნი, ვერც კი ჩამოვთვლი, რომელთა დახმარებით დღემდე მოვედი. მიდის წლები, გამოსაცემი კი ბევრია — ჩემიც, დედაჩემისაც. ბრძოლა გრძელდება, ადამიანმა ყველაფერს უნდა გაუძლოს, სანამ პირში სული უდგას, ულმობელი დრო კი მიდის და ყოველდღიურად გვართმევს, რაც ჩვენთვის ძვირფასია — ახალგაზრდობას, სილამაზეს, ენერგიას, ბოლოს და ბოლოს — სიცოცხლეს. კვალი ნათელი კი რჩება და ეს გვანუგეშებს მხოლოდ.

**შუშანა მგელაძე**

# ორგანიზაცია „რძე“

ძუძუთი კვებას, როგორც ბუნებრივ პროცესს, ყველა დედა აუცილებლად როდი მიიჩნევს. შვიდმა ამერიკელმა ქალმა, რომლებმაც საკუთარი გამოცდილებით იცოდნენ ამ პროცესის სიკეთე, მისი პროპაგანდისათვის 1955 წელს დააარსა ორგანიზაცია „რძე“. (ესპანური აბრევიატურა „ლლლ“). ლიგის სახელი განაპირობა წარწერამ სანტ-ავგუსტინში, ფლორიდას შტატში ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ აკლდამაზე: „ჩვენი ბედნიერი მშობიარობის და უხვი რძის ქალბატონი“.

„ლლლ“ არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს 44 ქვეყანაში აერთიანებს 35000 ჯგუფს, 9500 ლიდერს და ასი ათასზე მეტ დედას. მისი შტაბბინა აშშ-ის ილინოისის შტატის ქალაქ ფრენკლინ პარკშია. ლიგას ოფისები აქვს ახალ ზელანდიასა და კანადაში. „ლლლ“ არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელსაც ინახავს შემოწირულობები, საწევროები და გაყიდული მასალები. ლიგის გამოცდილება თავმოყრილია წიგნში „ჩვილის ძუძუთი კვების ქალური ხელოვნება“, რომელიც გამოდის 6 ენაზე, კასეტებზე და ბრმათათვის საკითხავად. გამოცემები ხელმისაწვდომია 30 ენაზე (დასანანია, რომ არ არის ქართულ ენაზე).

ლიგა დაინტერესებულია თავისი ცენტრები ჰქონდეს მრავალ ქვეყანაში.

სასურველი იქნებოდა ჩვენთანაც ჩამოყალიბებულიყო ასეთი ლიგა და დავხმარებოდით ქართველ დედებს ჯანმრთელი, სრულყოფილი ბავშვების აღზრდაში.

ლიგის ჯგუფები ატარებენ ყოველთვიურ შეკრებებს აშშ-ში, კანადაში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ადგილობრივი ჯგუფის ლიდერები მოხალისეები არიან, რომლებსაც თვითონ ძუძუთი ჰყავთ გაზრდილი ბავშვები და იციან როგორ დაეხმარონ სხვა დედებს ამ პრობლემის მოგვარებაში.

ლიგა კონსულტაციას უწევს გაეროს ჯანდაცვის ორგანიზაციებს, არის ამერიკის შეერთებული შტატების „ჯანმრთელი დედა — ჯანმრთელი შვილის“ კოალიციის წევრი.

**მაია ლევიძე-სართანია**

თსუ ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის კათედრის ასისტენტი, „ლლლ“-ის ლიდერი.

# სასარგებლო რჩევები

## ცხიმოვანი და ზეთოვანი ლაქების ამოყვანა

● აბრეშუმის ქსოვილიდან ცხიმოვანი ლაქების ამოყვანა შეიძლება ნიშადურის სპირტში გახსნილი მარილით.

● ღია ფერის ქსოვილებიდან ახალი ცხიმის ლაქები უნდა ამოიყვანოთ დალაქულ ადგილზე ცარცის ფხვნილის დაყრით, რომელიც 2—4 საათის შემდეგ ჩამოფერთხეთ ან გაწმინდეთ ჯაგრისით.

● შალის ქსოვილზე არსებული ძველი ცხიმის ლაქების ამოსაყვანად დასვრილი ადგილები დაასველეთ ბენზინით, 2—5 წუთის შემდეგ დაადეთ საშრობი ქაღალდის რამდენიმე ფენა და გააუთოეთ ცხელი უთოთი.

● საპოხი ზეთების, ცხიმოვანი ლაქების ამოსაყვანად ტანსაცმელი წინასწარ ჩაალბეთ სკიპიდარიან (1 სუფრის კოვზი 5 ლ წყალზე) წყალში.

● აბრეშუმის ქსოვილებიდან ცხიმოვანი და ზეთოვანი ლაქების ამოსაყვანად დასვრილი ადგილები ჩაყავით 5—10 წუთით თბილ ხსნარში, რომელიც შედგება 1/2 სუფრის კოვზი ნიშადურის სპირტის, 1 სუფრის კოვზი გლიცერინისა და 1 სუფრის კოვზი წყლისაგან. შემდეგ კარგად ამოავლეთ თბილ წყალში.

● მოძველებული ცხიმოვანი ლაქები, აგრეთვე ზეთის საღებავისა და ოფლის ლაქები დაამუშავეთ ოლეინის მჟავათი და გააჩერეთ დაახლოებით 1 საათამდე (ლაქის სიდიდის მიხედვით). შემდეგ დასვრილი ადგილები დაფერთხეთ და დაამუშავეთ ორგანული გამხსნელებით.

● ზედა ტანსაცმლის საყელოდან ცხიმოვანი ლაქების ამოყვანა შეიძლება სუფრის მარილისა (1/2 ჩაის კოვზი) და ნიშადურის სპირტის (3 სუფრის კოვზი) ხსნარში დასველებული ბამბით.

● ღია ფერის შალის ქსოვილიდან ცხიმოვანი ლაქების ამოყვანა შეიძლება ბენზინისა და მწვარი მაგნეზიის (იგი აფთიაქებში იყიდება) ფხვნილის ხსნარით. ხსნარი კარგად წაუსვით დასვრილ ადგილს, გააშრეთ და შემდეგ ჯაგრისით გაწმინდეთ.

შეკრიბეს მარლენ აბაზაშვილმა და მზია გოგიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვის ყურებიანი ქუდი



ლურჯი შალის ძაფი 100 გრამი.
თეთრი შალის ძაფი 50 გრამი.
წითელი ძაფი მცირე რაოდენობით.

ქსოვის სახე: წინდისებური და ლასტი (წალმა-უკუღმა პირი იქსოვება სულ წალმა თვლებით). ლასტით იქსოვება ყურები.

ჩხირები № 3

ქუდი იქსოვება წრიულად, ნაკერის გარეშე.

ქსოვა იწყება თეთრი ძაფით. ჩხირებზე აკრიფეთ 90 თვალი და დაიწყეთ ქსოვა წინდისებური ნახჭით. 7 სმ შემდეგ 2 რიგი ლურჯი ძაფით მოქსოვეთ და კვლავ გააგრძელეთ ქსოვა თეთრი ძაფით. 3 რიგის შემდეგ შეუდექით პინგვინების ჩაქსოვას. ირგვლივ თავსდება 6 პინგვინი. მათ შუა სამ-სამი თეთრი თვალი ხვდება. ვინაიდან ქუდის გადანაკეცი ორმაგია, პინგვინების ჩაქსოვა თავიდან (თავდაყირა) მოგიხდებათ. ეს ნუ დაგაბნევთ, უბრალოდ სქემა თავდაყირა დაიდეთ წინ. პინგვინი სულ თერთმეტ თვალში თავსდება და მარტივად იქსოვება. თვალი და ნისკარტი შემდეგ გაუკეთეთ ნემსით. 3 თეთრი რიგის შემდეგ კვლავ გადაქსოვეთ ლურჯი ზოლი (2 რიგი) და გადადით ლურჯი ძაფით ქსოვაზე ისე, რომ წინდური ქსოვის უკუღმა პირი პინგვინების წალმა პირის გაგრძელება იყოს. განაგრძეთ ქსოვა უცვლელად 16 სმ-მდე და დაიწყეთ კლება: ყოველი 5 თვალის შემდეგ 2 თვალი ერთად გამოიყვანეთ წალმით. ასე გაიმეორეთ სამჯერ, მერე ყოველი 3 თვალის შემდეგ უკელით და ასე თანდათან დაიყვანეთ თვლების რაოდენობა 7-8 თვალამდე, აასხით თვლები ძაფზე, მოუჭირეთ და კარგად ამოკერეთ ქუდის წვერი.

ყურები შეგიძლიათ ზედვე მიაქსოვოთ, მაგრამ მაინც გირჩევთ ცალ-ცალკე მოქსოვოთ და შიგნიდან მიაკეროთ. საჭიროების შემთხვევაში მას ადვილად გადაანაცვლებთ და ნაქსოვის დარღვევა არ დაგჭირდებათ. ყურები შარფის მოვალეობას ასრულებს და სიგრძე თქვენი სურვილისამებრ მიეცით. აღნიშნულ მოდელზე კი ყურების სიგრძე 45 სმ-ია. ყურების ბოლოები თანაზომიერად დაავიწროვეთ. ქუდი დაამშვენეთ ფუნჯებით. ვიმედოვნებ გეცოდინებათ ფუნჯის დამზადება. ფუნჯს უხდება შიგ ზომიერად გარეული თეთრი და წითელი ფერი.



# ხელთათმანები



წინდის ხუთი ჩხირი

შალის ძაფები ლურჯი, წითელი, თეთრი, ყვითელი — ყველა ერთად 50 გრამი.

ქსოვის სახე: წინდისებური და რეზინი 1×1.

ჩხირებზე აკრიფეთ 40 თვალი (თითო ჩხირზე 10 თვალი) და მოქსოვეთ 6 სმ. მანჟეტი რეზინით 1×1. მანჟეტში გაავლეთ წითელი და თეთრი ზოლები (ორ-ორი რიგი). შემდეგ გადადით წინდურ ქსოვაზე, თან მაშინვე თითოეულ ჩხირზე მოუმატეთ ორ-ორი თვალი. 2 სმ-ის შემდეგ ცერა თითისათვის ნაპირა 6 თვალი აკრიფეთ ინგლისურ ქინძისთავზე (ბულავკა), მომდევნო რიგზე ეს 6 თვალი აღადგინეთ საჰაერო თვლებით (ჩხირზე ახალი საჰაერო თვლები შეაბით) და განაგრძეთ ქსოვა წინდისებურად. 5 სმ-ის შემდეგ დაიწყეთ თითების ქსოვა. ახლა მოდაშია სხვადასხვა ფერის თითები. 48 თვალი თანაბრად გაყავით 4-ზე ე. ი. თითოეული თითისათვის 12 თვალი აკრიფეთ ინგლისურ ქინძისთავზე ან ძაფი გაუყარეთ. სამი თითი 18-18 თვლით იქსოვება, ნეკი 16 თვალით, ცერიც 18 თვალით. ორ-ორი თვალი თითებშუა ამოქსოვეთ. თითების სიგრძეა: საჩვენებელი — 6 სმ, შუა თითი — 7 სმ, არათითი — 6 სმ, ნეკი — 5 სმ, ცერი — 7 სმ.

წიწილა ჩააქსოვეთ სქემის მიხედვით.

მშვიდობაში მოხმარდეს თქვენს პატარას!

**ლატავრა თეთრაული**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოსწავლის კუთხისათვის

დღევანდელ პირობებში ძნელია შეიძინოთ ბავშვისათვის საჭირო ესა თუ ის ნივთი. ამიტომ, გირჩევთ გამონახოთ დრო, მოუხმოთ თქვენს ფანტაზიას და შეეცადოთ თავად გააკეთოთ სამეცადინო კუთხეში ჩამოსაკიდი მეტად პრაქტიკული საგანი. თუ ამ სამუშაოს ბავშვთან ერთად შეასრულებთ, ამით მას განუვითარებთ საქმისადმი სიყვარულს, მხატვრულ ხედვას და რაც მთავარია, ნივთი, რომლის შექმნაშიც ბავშვი მიიღებს მონაწილეობას, უფრო საყვარელი იქნება მისთვის.

აიღეთ დაახლოებით 4—5 სმ სიგანის სწორი ხის ნაჭერი. მასზე უნდა გადაჭიმოთ სქელი, მკვრივი ქსოვილი. უკანა მხარეს წაუსვით წებო. სანამ უკანა მხარეს ქსოვილს დააწებებდეთ, სამ ერთნაირად დაშორებულ ადგილზე დააწებეთ ზონრები. თუ ზონარი გრეხილი ძაფისაა, საკმარისი იქნება თითო ზონრის დაწებება, რადგანაც ის ქვევით ორად გაიყოფა. თუ კი ჩვეულებრივ ლენტს გამოიყენებთ, დააწებეთ ორ-ორი. ზონრებს ზევიდან ისევ წებო წაუსვით და ქსოვილი ისე დააწებეთ. თვით წებო ძლიერი უნდა იყოს და ეს ყველაფერი კარგად უნდა გაშრეს. შემდგომში იწყებთ ქსოვილისგან სამი ჩამოსაკიდებელი დეტალის გამოჭრას და კერვას. პირველ ნახატზე, წარმოდგენილია საშლელების ჩასაწყობი, მეორე ნახატზე — ფანქრების, მესამეზე კი — სახაზავების. პირველ დეტალს გამოჭრით ისე, როგორც ეს ა-ბ ნახაზზეა ნაჩვენები, ა 2-ჯერ ბ 2-ჯერ. მეორე და მესამეს კი გ—დ ნახაზების მიხედვით, ე. ი. მართკუთხედების სახით, სადაც ერთი უფრო მოკლეა, მეორე კი მოგრძო. ქსოვილი სასურველია იყოს ტილოს ან ჩითის ტიპის. უკანა და წინა მხარეები ორმაგია, რადგანაც უკანა, ორმაგ მხარეში იდება ამავე ფორმის მუყაო, რათა შეუნარჩუნდეს საერთო ფორმა, წინა მხარე კი ჩამოკიდებისას აღარ ჩამოიწევა. ზონრები აქაც ღრმად და კარგად უნდა ჩაკერდეს.

შეეცადეთ გამოიყენოთ ლამაზი ნაჭრები, განსაკუთრებით გაწყობის (კომბინირების) დროს. გაუკეთეთ ლამაზი აპლიკაციები, თუ ქარგვა გეხერხებათ, ამოქარგეთ. კიდეებზე მოაყოლეთ ფერადი კანტები, დააკერეთ ღილები და სხვა.

**თამარ ბებეჭკორი**






## სასარგებლო რჩევები

● გახამებული ნაჭერიდან ყვითელი ლაქების ამოყვანა შეიძლება წყალბადის ზეჟანგის ხსნარით (2 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე). შემდეგ დამუშავებულ ადგილს წმენდენ სუფთა წყალში დასველებულ ბამბით.

● ცისფერი ტონის შალის ქსოვილი ინტენსიურ ფერს შეიძენს, თუ მას გარეცხავთ გახეხილ კარტოფილთან. გაითვალისწინეთ, რომ ნაჭერზე შეიძლება დარჩეს სახამებელი, ამიტომ საჭიროა მისი კარგად გავლება.

● ახლად ნაყიდი მაქმანები („კრუჟაო“) მაშინათვე გარეცხეთ და გაახამეთ, რათა კაბას კარგად მოერგოს.

შეკრიბეს მარლენ აბაზაშვილმა და მზია გოგიშვილმა.

# კულინარია კულინარია

## სამარხვო კერძები

### ჭინჭრის სუპი უცხიმოდ

მომინანქრებულ ქვაბში ჩაასხით 2 ლიტრი ცივი წყალი, ჩადეთ შიგ 1 ცალი დაფნის ფოთოლი, 1-2 წვრილად დაჭრილი სტაფილო და მცირეოდენი წიწაკა, წყალი კარგად გაცხელდება თუ არა, ჩაყარეთ ოთხად გაჭრილი 4-5 ცალი კარტოფილი, 2-3 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი და უყავით მარილი. კარტოფილის მოხარშვისთანავე დაუმატეთ წვრილად დაჭრილი თითქმის ყველანაირი მწვანილი, ორი წუთის შემდეგ კი 500 გრამი წვრილად დაჭრილი ჭინჭარი. წამოადუღეთ 1-2 წუთი, გადმოდგით ცეცხლიდან და უყავით 3-4 კბილი დანაყილი ნიორი.

ჭინჭრის სუპი შეგიძლიათ მოამზადოთ ზეთში მოშუშული ხახვით და 1 ჭიქა ბრინჯით, (კარტოფილის მაგიერ). ხახვთან ერთად შეგიძლიათ მოშუშოთ 3-4 ცალი კანგაცლილი, დაჭყლეტილი პამიდორი. მომზადების დანარჩენი წესი ისეთივეა, როგორც ზემოთაა მითითებული. ჭინჭრის სუპი (შეჭამანდი) მეტად სასარგებლო და უებარია კუჭ-ნაწლავისა და თირკმელებისათვის.

### ახალი ლობიო უზეთოდ და უნიგვზოდ

1 კილო კარგი ჯიშის უბეწვო ლობიო მოხარშეთ, შეაზავეთ ყველანაირი წვრილად დაჭრილი მწვანილით. (ქონდარი აუცილებელია) უყავით მარილი და მოასხით 1 ჩაის ჭიქა კარგად შეზავებული ტყემალი.

### ახალი ლობიო ახალი პამიდვრით

1 კილო უბეწვო ლობიო დაამტვრიეთ და მოათავსეთ ქვაბში ფენა-ფენა, ლობიოს ყოველ ფენას მოაყარეთ ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, ყველანაირი მწვანილი და კანგაცლილი ბრტყლად დაჭრილი პამიდორი. ასევე ყოველ ფენას მოაყარეთ მცირეოდენი მარილი. დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი, შედგით ნელ ცეცხლზე და ადუღეთ, ვიდრე ლობიო მოიხარშება. თუ სურვილი და შესაძლებლობა გექნებათ, შეგიძლიათ დაუმატოთ 1 ღვინის ჭიქა ზეთი.

ლობიოსათვის საჭიროა 1 კილო პამიდორი და 200 გრამი ხახვი.

### ბრინჯის ფლავი

1 კილო მოხარშული (ოდნავ უმი) ბრინჯი გაწურეთ, გაყავით 3-4 ტოლ ნაწილად, ერთი ნაწილი მოათავსეთ ქვაბში, დაფარეთ ზემოდან გათლილი, ბრტყლად დაჭრილი ვაშლით და ქიშმიშით, მოაყარეთ 1 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, მცირეოდენი ფორთოხლის ცედრა და ასე განაგრძეთ. ე. ი. ბრინჯის ყოველი ფენა იფარება ვაშლით, ქიშმიშით, შაქრით და ფორთოხლის ცედრით. ბოლოს მოასხით ნახევარი (გნებავთ მეტი) ჩაის ჭიქა ზეთი და შედგით ძალიან ნელ ცეცხლზე. 10-15 წუთის შემდეგ გადმოდგით და (თუ გნებავთ) დააწურეთ ერთი ლიმონი.

ფორთოხლის ცედრა, ისევე როგორც ხმელი სუნელები და სხვა საკულინარიო სანელებლები, (მიხაკ-დარიჩინი, ვანილი, ჰილი და სხვა), წინასწარ უნდა გქონდეთ მომარაგებული.

**მონაზონი დედა ელენე**

## დედები და შვილები

ღმერთს არ შეუძლია ყველგან მისვლა მოასწროს, ამიტომ შექმნა დედა.

**ინგლისური ანდაზა**

თხუთმეტი წლის მანძილზე დედა ვაჟიშვილს უმტკიცებს, რომ ის მამაკაცია. შემდეგ ოცი წელიწადი კი ვაჟიშვილი იძულებულია უმტკიცოს დედას, რომ იგი უკვე ნამდვილად მამაკაცია.

**მ. გილუა (საფრანგეთი)**

ისინი, ვინც გვენდობიან, გვზრდიან ჩვენ.

**ჯ. ელიოტი (აშშ)**

აღზარდო ბავშვი იმას ნიშნავს, რომ მივაჩვიოთ იგი უჩვენოდ ცხოვრებას.

**ლ. ფორტენი (კანადა)**

მშობლები ის ადამიანები არიან, რომლებიც თვლიან, თითქოს იმდენად ზრდასრულნი არიან, რომ შეუძლებელია მათ რაიმე ასწავლოთ.

**რ. კრიზე (ინგლისი)**



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები:
რედაქტორის
99-98-71;
პ. მგ. მდივნის
99-71-68;
ცნობებისათვის
98-95-79.

მასალები გადაეცა ასაწყობად 16.12.93 წ.
ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 05. 94 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. ტირაჟი 6 000. შეკვ. 1911.

ეპოქის დოკუმენტი.
1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერი.
აფხაზეთში სახლ-კარ გადამწვარი ქართველი ლტოლვილე-ბით ავსილი საქართველოს ქალაქები.
რამდენი სასოწარკვეთილი ახალგაზრდა ლტოლვილი ქალის სახეზე, მაგრამ სასოწარკვეთაზე დიდი სიმტკიცეა: მან უნდა გადაარჩინოს ყველაზე ძვირფასი — საქართველოს მომავალი.
ის კი — ახლა დედის მკერდზე მიმინაბული ბიჭუნა — თავისი თაობის სათქმელს მალე იტყვის.
ისიც იკითხოს, ვისაც ის მომავალი არა აქვს.



## ჩვენს მკითხველებს!

ბოდიში გვინდა მოგიხადოთ იმისათვის, რომ ქაღალდის უქონლობის გამო იძულებული გავხდით 1993 წლის № 7–9–ის შემდეგ შეგვეწყვიტა „საქართველოს ქალის“ ნომრების გამოცემა.
იმ მომზადებული ნომრებიდან, ზოგ ჩვენი აზრით საინტერესო წერილს წლევანდელ ჟურნალში შემოგთავაზებთ.

„საქართველოს ქალის“ რედაქცია


საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

მარიკა ბარათაშვილი
ნაზი თარხანაძე
ლია კაკაბაძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
ნუცა კვარაცხელია
ნანული ცაგარეიშვილი
ცინარა მერელაძე
(მხატვრული რედაქტორი)
ირმა ჩოხიკაშვილი
ნინო ჯავახიშვილი
ნოდარ ჯაველიძე
ეთერ ჯაფარიძე

ტექრედაქტორი ნანული ბუკია


გარეკანის პირველ გვერდზე — მარიკა ვლადიმერაშვილი.
თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლე, პეტიპას სახელობის ბალეტის მსახიობთა VII საერთაშორისო კონკურსის მონაწილე.
წერილს მის შესახებ ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში შემოგთავაზებთ.
მეოთხეზე — ზურაბ დათუაშვილის ფოტოეტიუდი — „ორნი“.


დამფუძნებელი ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.

ჟურნალი გამოდის 1922 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
მ. კოსტავას ქ. №14.

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman
a Magasine for Woman of the
Republic of Georgia

ფასი 50 000 კუპ.

ინდექსი 76178

